

ბაგო ხაბვის თავის უფლება და

სასამართლოს და მოუპოვებლობისა

და მიუკრძალებლობის და ცვა



**გამონათვის თავისუფლება და
სასამართლოს დამოუკიდებლობისა და
მიუკერძოებლობის დაცვა**

2020



კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

კვლევის ავტორები:

გვანცა წულუკიძე, რაფიელ კაკაბაძე, ვერიკო ბენეკაშვილი

საერთაშორისო კონსულტანტი ექსპერტები:

დირკ ვორჰოფი და ინგერ ჰოედ-რასმუსენი

დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელია:

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

www.gdi.ge

„აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ეხება, იმიტომ არ დაწერილა, რომ დაიცვას მხოლოდ ის აზრი, რომელიც ჩვენ, მოსამართლეებს მოგვწონს. ხადხს შეუძლია ნებისმიერი რამ თქვას სასამართლო სისტემის, მოსამართლისა და ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. საპასუხოდ კი მოსამართლეებს არ გვაქვს უფლება მათ შევეწინააღმდეგოთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი გადაწყვეტილებებით შეგვიძლია საუბარი. აი სწორედ ეს არის საფასური, რასაც ვიხდით იმაში, რომ მოსამართლე მერქვას.“

ელისონ ქვი დანქენი

ამერიკის ფედერალური საოლქო
სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

სარჩევნი

შესავალი	6
ძირითადი მიგნებები:	8
კვლევის მეთოდოლოგია	12
გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო	15
შეურაცხყოფელი გამოხატვა	18
გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების შემოწმების წესი და პროცედურა	24
კანონით განსაზღვრულობის საკითხი	26
რეგიტიმური მიზნის არსებობა	32
შეზღუდვის აუცილებლობა და პროპორციულობა	34
გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად	37
საერთო სასამართლოების პრაქტიკა	70
დასკვნა	88
რეკომენდაციები	90

შესავალი

თანამედროვე სამყაროს დემოკრატიული ქვეყნები ერთხმად აღიარებენ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას. სამართლის თეორეტიკოსები, ფილოსოფოსები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები, საერთაშორისო/რეგიონალური და ეროვნული სასამართლოები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ აღნიშნული უფლების ეფექტური რეალიზაციის აუცილებლობასა და მისი გაუმართლებლად შეზღუდვის შემთხვევიდან მომდინარე საფრთხეებზე.

დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადოდ დაუცვლად, წარმოუდგენელია. სწორედ ამგვარი დაცვის გარანტიას იძლევა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. თუმცა ისევ ხდება, რომ მთლიანად სასამართლო ხელისუფლება ან კონკრეტული მოსამართლეები, ან/და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, კრიტიკისა და, რიგ შემთხვევებში, შეურაცხყოფელი შეფასებების სამიზნეები ხდებიან. ასეთ დროს, გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (შემდგომში – საკონსტიტუციო სასამართლო) განმარტებით: *„ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამოიწვევს ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. საზოგადოებაში, სადაც ამრის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით, ასევე, დაცულია ინფორმაციის თავისუფლებაც. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია ამრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და ამრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. ამრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ ამრი მივიღეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცადკუდი ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის“.*¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ (შემდგომში – ევროპული სასამართლო) ჭერ კიდევ 1976 წელს, საქმეში – Handyside v. the United Kingdom, პირველად დაადგინა ის, რაც შემდგომში² გამოხატვის თავისუფლებაზე მსჯელობისას მანტრად იქცა:

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/3/406,408 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, Morice v. France (GC), პაწ. 124.

„გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ განუყოფელ ფუნდამენტს [დემოკრატიული] საზოგადოებისათვის, ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარებისათვის ... [და] ის მიემართება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას“ და „იდეებს“, რომელიც მოწონებულია და მიღებულია როგორც არაძალადობრივი ან ინდიფერენტული, არამედ ისეთებსაც, რომელიც შეურაცხყოფელი, შოკისმომგვრელი ან შემანუხეველი შეიძლება იყოს სახელმწიფოსათვის, ან მოსახლეობის რომელიმე სექტორისათვის. ასეთია პლურალიზმის მოთხოვნა, ტოლერანტულობა და გახსნილი ვიწროება, რომელთა გარეშეც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს.“³

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოში განსაკუთრებით იმატა რელიგიური გრძობების შეურაცხყოფის ალვეთის მოტივით გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის, ცილისწამების შესახებ კანონის მიღების, შუღლის გაღვივებასთან და შემოქმედებითი ნაწარმოების შინაარსობრივ კონტროლთან დაკავშირებულმა ინიციატივებმა, რომელთა უმრავლესობაც საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებისაგან მოდიოდა.

საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების და პრემიერის ამგვარი ინიციატივების გარდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები პერიოდულად საუბრობდნენ სასამართლო ხელისუფლების მიმართ კრიტიკული გამოხატვის რეგულირებასთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით, გამოხატვის თავისუფლებით ამგვარი სარგებლობა ზიანს აყენებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს და უარყოფითად აისახება საზოგადოების ნდობაზე მათ მიმართ⁴. ცხადია, სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვა დეგრიტიმურ მიზანს წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიზნის მისაღწევად ადეკვატური და პროპორციული საშუალება იქნას გამოყენებული.

წინამდებარე კვლევა სწორედ მემოხსენებულ ორ ინტერესს – ერთი მხრივ გამოხატვის თავისუფლებასა და მეორე მხრივ სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას შორის სამართლიანი ბაღანის დადგენის პრაქტიკის ანალიზს შეეხება. მასში ასახული სხვა ქვეყნების გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა, გაერთიანებული იქნება იმ ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებში, რომელიც ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს, როგორც გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, ასევე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას და შესაბამისად, მის მიმართ საზოგადოების ნდობის ზრდას.

3 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Handyside v. the United Kingdom, პარ. 49.

4 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე.

ძირითადი მიზნები:

- › სხვადასხვა დროს მიღებულ გადაწყვეტილებებში, ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ გამოიჭნა ერთმანეთისაგან განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა. სასამართლოს შეფასებით, როდესაც განცხადება უტოლდება შეფასებით მსჯელობას, ჩარევის თანამომიერება შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი „**ფაქტობრივი საფუძველი**“ გასაჩივრებელი განცხადებისათვის; თუ არ არსებობს, ასეთი შეფასებითი მსჯელობა შეიძლება დადგინდეს, როგორც გადაჭარბებული. ფაქტობრივი ბრადებებისა და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად აუცილებელია საქმის გარემოებებისა და გამონათქვამების ზოგადი ტონის გათვალისწინება, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ განცხადებები საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების თაობაზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას და არა ფაქტის დაფიქსირებას.
- › თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხდება მეტად საბიანო და უსაფუძვლო თავდასხმა, მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტური ინსტიტუციის ნაწილს და შეიძლება დაექვემდებარონ პირად კრიტიკას. ამდენად, თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, მათზე ვრცელდება დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები, ვიდრე რიგითი მოქალაქეების შემთხვევაში.
- › ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების საქმიანობისაგან განსხვავებით, უფრო მკაცრი მიდგომა შეიძლება არსებობდეს უშუალოდ სასამართლო დარბაზში გამოხატვის თავისუფლების მიმართ, რომელიც ხელს უშლის პროცესის გამართულ მიმდინარეობას და აფერხებს მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას.
- › მოსამართლეთა მიმართ ვაკეთებული განცხადებების შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ მოსამართლეები, სამოსამართლო ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, ვერ

ახერხებენ რეაგირებას/საპასუხო განცხადებების გაცემებას, თუმცა ეს ვერ იქნება ადამიანისათვის საკუთარი მოსაზრების (ფაქტებზე დაფუძნებული შეფასებითი მსჯელობის) გამოხატვის აკრძალვის საფუძველი ისეთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე, როგორცაა მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება.

- › ქვეყანაში, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპით იმართება, სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით. ამდენად, შესაძლოა, აუცილებელი იყოს აღნიშნული ნდობის დასაცავად მეტად საზიანო თავდასხმებისაგან, რომლებიც არსებითად უსაფუძვლოა. შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესის გამართული ფუნქციონირება და ადმინისტრირებაში ჩარევის თავიდან აცილება, როგორც დეგრატიული მიზანი, საერთოა ყველა განხილული იურისდიქციისათვის;
- › სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების საქმიანობისაგან განსხვავებით, უფრო მკაცრი მიდგომა შეიძლება არსებობდეს უშუალოდ სასამართლო დარბაზში გამოხატვის თავისუფლების მიმართ, რომელიც ხელს უშლის პროცესის გამართულ მიმდინარეობას, აფერხებს მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას.
- › ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა სასამართლო ხელისუფლებისადმი გამოთქმული კრიტიკის მიმართ, ძრითა განმავლობაში შეიცვალა და ახლა უფრო მეტად გამოხატვის თავისუფლების დაცვისკენ არის მიმართული, ვიდრე პრაქტიკის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე.
- › კვლევის ფარგლებში, საერთო სასამართლოების მიერ მოწოდებული გადაწყვეტილებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საერთო სასამართლოები თავისუფლების აღმკვეთი სანქციის გამოყენებისას ნაკლებად დასაბუთებული განაჩენების სტანდარტით კმაყოფილებიან. რიგ შემთხვევებში

კი, კონსტიტუციური სტანდარტის ნაცვლად, ევროპული სასამართლოს სტანდარტს იყენებენ, რომელიც გამომხატვის თავისუფლებასთან მიმართებით უფრო დაბალია.

- › შეუფერხებელი და გამართული მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფის მიზნით გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვისას მოსამართლეს შესაძლებლობა აქვს იხელმძღვანელოს სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლებით. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს დასახული დეგიტიური მიზნის მიღწევას, სისხლისსამართლებრივი წესით თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენებით.
- › ევროპული სასამართლო გამომხატვის თავისუფლებაში შეზღუდვის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გამოყენებული სანქციის პროპორციულობაზე, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ამ მიმართულებით ეჭვქვეშ დადგეს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროპორციულობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეურაცხმყოფელი გამომხატვა უშუალოდ მოსამართლის პირისპირ არ გაკეთებულა, შესაბამისად, მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე, გავლენა არ მოუხდენია.
- › საქართველოს მასშტაბით, 5 სხვადასხვა ქალაქში შეკრებილი ადვოკატების, უნივერსიტეტისა და სასამართლოს წარმომადგენლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით⁵ გათვალისწინებული სანქცია მკაცრი და მიუღებელია.

5 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. მუხლი 366. სასამართლოს უპატივცემულობა
1. სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

შედარებით მცირე ჯგუფისათვის – თავისუფლების აღკვეთა მძიმე სასჯელია, თუმცა, შესაძლოა, შემაკავებელი ეფექტი ჰქონდეს. სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია მკაცრად მიიჩნევა კვლევაში მონაწილე მოსამართლეებმაც.

- › კვლევაში მონაწილე ადვოკატები და უნივერსიტეტის წარმომადგენლები (სამართლის დექტორები) მიიჩნევენ, რომ ზოგადად სასამართლოს კრიტიკა მისაღებია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სისტემის გაჯანსაღებას და, შესაბამისად, გავლენა არ უნდა იქონიოს მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე. თუმცა, რიგ შემთხვევებში, რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ მოსამართლის კრიტიკამ, იგი, შესაძლოა, კონკრეტული მხარის წინააღმდეგ განაწყობს. რაც შეეხება გადაწყვეტილებისა და უშუალოდ მოსამართლის მისამართით გამოთქმული კრიტიკის გამიჯვნას, მხოლოდ მცირე შემთხვევებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მოსამართლის პიროვნული კრიტიკისა და გადაწყვეტილების კრიტიკის გამიჯვნა შეუძლებელია.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვასთან დაკავშირებით არსებული საქართველოსა და აშშ-ის, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი შედარებითი ანალიზი. უფრო კონკრეტულად, კვლევა მოიცავს:

- › მოსამართლეთა ცილისწამებასთან, სასამართლოს უპატივცემულობასთან (სამართალწარმოების მონაწილის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, ნაფიცო მსაჯულის შეურაცხყოფა) დაკავშირებით არსებულ კანონმდებლობას;
- › აშშ-ის უზენაესი სასამართლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგვანტურ სასამართლო პრაქტიკას;

კვლევის საჭიროება მომდინარეობს საქართველოში ბოლო პერიოდში გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევებისა და, ხშირად, არაპროპორციული შეზღუდვებისა თუ სანქციების დაკისრების საგანგაშო სასამართლო პრაქტიკიდან.⁶ საყურადღებოა, რომ 2019 წლის

6 მოკლე პერიოდის განმავლობაში საერთო სასამართლოებმა განიხილეს შემდეგი საქმეები:

- ა) ზვიად ჯუბარავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე. 2019 წლის 1-ლ აგვისტოს ზვიად ჯუბარავას თბილისის საქალაქო სასამართლომ 9-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. საქმე ეხება 2018 წლის 11 ივნისის ინციდენტს. ზვიად ჯუბარავა 1-საათიანი შესვენების დროს სასამართლოს სასაიდლოში იმყოფებოდა, როდესაც მას მიუახლოვდა პოლიციელი და მოსთხოვა, რომ დაეტოვებინა სასაიდლო და სასამართლო სხდომის დარბაზში გამოცხადებულიყო. ჯუბარავამ შეურაცხყოფელი სიტყვებით მოიხსენია მოსამართლე, თუმცა მოსამართლისთვის შეურაცხყოფა პირისპირ არ მიუყენებია. შემდგომში, როდესაც ეს მოსამართლე ჯუბარავას საქმეზე მონაწილე იკითხებოდა, მან განაცხადა, რომ ამ ინციდენტის შესახებ სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ გაიგო, შესაბამისად, მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ჯუბარავას გამონათქვამს ზეგავლენა არ მოუხდენია.
- ბ) ბუბა ნაჭყვიას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. 2019 წელს, სტუდენტმა, ბუბა ნაჭყვიამ დეტორის შესახებ, დახურულ ფეისბუკ ჯგუფში შეურაცხყოფელი განცხადება გააკეთა და მის შესახებ ინტერნეტ მიმღი დაპოსტა. სასამართლომ აღნიშნული ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, კერძოდ, წვრილმან ხუდიგნობად დააკვალიფიკირა.
- გ) ფადი ასლის წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლის საქმე. 2017 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ვლადიმერ კაკაბაძემ, ფადი ასლის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს, ცილისწამებისთვის უჩივდა. კაკაბაძე მონარული წიანის ანანაშაურებლად, ფადი

იველის-აგვისტოს პერიოდში, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებთან გასაუბრებისას კანდიდატთა მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოკვეთილმა უზენაესმა შექმნა იმგვარი შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეები, როდესაც გამოხატვა ეხება კრიტიკულ (ზოგჯერ შეურაცხმყოფელ) გამონათქვამებს სასამართლოს მიმართ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ უფრო არიან მიდრეკილნი, ვიდრე მოსამართლის მაღალი თანამდებობიდან მომდინარე თმენის მაღალი ვადლებულების გამოჩენისაკენ, ამგვარი გამოხატვების მიმართ. მაშასადამე, ჩანს, რომ მათი დამოკიდებულებები სრულად არ შეესაბამება გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტს.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

- *სამაგიდე კვლევა – მოძიებული ინფორმაციის შესწავლა და გაანალიზება (შიდა, და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა (სასამართლო გადაწყვეტილებები) და აშშ-ის კონსტიტუციური სტანდარტი და პრაქტიკა, სამართლებრივი დოკუმენტები, იურიდიული ლიტერატურა)*⁷
- *თვისებრივი კვლევა – სამიზნე ჯგუფებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუებით და ფოკუს ჯგუფებით⁸ სასამართლოსთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების, პროფესიული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაანალიზება.*

ასლისათვის 20 000 ღირის დაკისრებას მოითხოვდა. ვაკაბაძის სარჩელი დაკმაყოფილდა პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში და ფაქტიურად ასლის კომპენსაციის სახით 3000 ღირის გადახდა დაეკისრა. უზენაესმა სასამართლომ შეცვალა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, რადგან ფაქტიურად ასლის განცხადებებში ცილისწამების ნიშნები ვერ აღმოაჩინა.

7 საქართველოს საერთო სასამართლოებისაგან გამოვითხოვეთ 2009 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის ივნისამდე პერიოდში განხილულ საქმეებზე მიღებული განაჩენები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის ფარგლებში, განვიხილეთ სასამართლოების არსებობის ისტორიაში განხილული რეგულაციური გადაწყვეტილებები.

8 ფოკუს ჯგუფი მოიცავს პროფესიული წრეების წარმომადგენლებს, კერძოდ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს, უნივერსიტეტების პროფესორებს, პრაქტიკოს იურისტებს (მათ შორის, საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, სასამართლოს თანამშრომლებს). ფოკუს ჯგუფები ჩატარდა CRRC საქართველოს დახმარებით.

დამუშავებული ინფორმაცია

სამაგიდე კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ და გავაანალიზეთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- › ქართული საკანონმდებლო ბაზა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით
- › ქართული საკანონმდებლო ბაზა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვასთან დაკავშირებით
- › ქართული სასამართლო პრაქტიკა და სტატისტიკა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, განსაკუთრებით, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის ინტერესთან დაპირისპირების შემთხვევებისას
- › კვლევის საგნის შესახებ იურიდიული ლიტერატურაში გაკეთებული განმარტებები და გამოთქმული მოსაზრებები
- › აშშ-ში გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტი
- › აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ჭრილში
- › ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლი გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით
- › ევროპის საბჭოს რეკომენდაციები, რეზოლუციები და დეკლარაციები გამოხატვის თავისუფლებასთან, ცილისწამებასთან დაკავშირებით
- › ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის საფუძვლით.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ და გავაანალიზეთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- › პროფესიული წრეების წარმომადგენლების დამოკიდებულება სასამართლოსთან მიმართებით, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით
- › პროფესიული წრეების წარმომადგენლების პროფესიული გამოცდილება სასამართლოსთან მიმართებით, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო

გამოხატვის თავისუფლების როლი და მნიშვნელობა ინდივიდის თვითგანვითარებისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონის სამართლებრივი აქტით არის აღიარებული. წინამდებარე თავში საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „ევროკონვენცია“) მე-10 მუხლებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროზე ვიმსჯელებთ. ასევე განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგულატორ გადაწყვეტილებებს.

„საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებითა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დაცული ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება ინფორმაციის შინაარსობრივი ფილტრაციის გარეშე.“⁹ რაც შეეხება ამავე მუხლის მე-5 პუნქტს, მასში ჩამოყალიბებული შეზღუდვის წინაპირობების მიხედვით, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მსგავსად, ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *„ყველას აქვს ამრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომარეულუბის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა დაცვები“.* თუმცა მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი სრულად თვლის იმ დეგრატიულ მიზნებს, რომლის არსებობისას შესაძლებელია აღნიშნული უფლების შეზღუდვა.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმეზე „არექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“ II-პარ.19

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული იყო ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების, ასევე, ამრის გამოთქმის და გავრცელების უფლება, ხოლო იმავე მუხლის მე-4 პუნქტი მოცემული უფლების შემლუფვის საფუძველს ადგენდა. საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით, 24-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტით დაცული უფლების ეკვივალენტური უფლება მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით და მე-5 პუნქტით არის გარანტირებული.¹⁰ შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის, რეგვანტურია 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტიტუციის რედაქციის 24-ე მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით „*დაცულია ადამიანის შეხედულებები, მისი რწმენა, ინფორმაცია, ასევე ის საშუალებები, რომლებიც მათი გამოთქმისა და გავრცელებისათვის არის შერჩეული, მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და ამრის გავრცელების სხვა საშუალებები*“.¹¹ სხენებული არაამომწურავი ჩამონათვალი შესაძლებლობას აძლევს ინდივიდს, თავად გადაწყვიტოს, თუ რა ფორმით, გამოხატვის რომელი საშუალებით სურს საკუთარი შეხედულების/ამრის გამოხატვა, თუკი, რა თქმა უნდა, ეს თავად კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემლუფვის საფუძველებს არ ეწინააღმდეგება.

ამრის ქონის თავისუფლება უპირველესი წინაპირობაა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული სხვა თავისუფლებებით სარგებლობისათვის. „*ნებისმიერი სახით ამ უფლების შემლუფვა ჩაითვლება დემოკრატიული სამოგადროების ბუნებასთან შეუსაბამო*“.¹² სახელმწიფო არ უნდა

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, „ბესიკ ქათამაძე, დავით ჭყავანაძე და ილია მადაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 1.2. იხ. ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ადექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II – 1-3.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზუმის 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

12 Human rights handbooks, No. 2. A guide to the implementation of Article 10 of the European Convention on Human Rights გვ. 8.

შეეცადოს მისი მოქალაქეების ინდოქტრინიზაციას. მეტიც, სახელმწიფოს მხოლღ ცადმხრივი ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა შექმნას სერიოზიუდი და მიუღებედი დაბრკოლებები აზრის ქონისათვის. ეს უფლება მოიცავს, როგორც ინდივიდის უფლებას მისთვის სასურველ დროს, ნები-სმიერი მიზეზით თავისუფლად შეიცვადოს აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით,¹³ ასევე ნეგატიურ ასპექტს არ იქნას იძულებული გაამხილოს საკუთარი მოსაზრებები.

ის, რომ გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ შეხედულების ქონას არ გულისხმობს და საკუთარ თავში ინფორმაციის თავისუფლებად მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობასაც იძლევა, ნათლად ჩანს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ განმარტებაშიც, – *„საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლისგან განსხვავებით, რომლითაც გარანტირებულია ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსაძეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი არ აწესრიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.“*¹⁴

ინფორმაციისა და იდეების გავრცელების უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. თავისუფალი არჩევნების ჩატარება ამ უფლების არანსებობის პირობებში შეუძლებელია. გამოხატვის თავისუფლებით დაცული ინფორმაციის მოძიებისა და მიღების უფლება მნიშვნელოვანი კომპონენტია დემოკრატიული მმართველობისათვის, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის წახადისება, შეუძლებელია ადეკვატურ ინფორმაციაზე წვდომის გარეშე.¹⁵ ამ უფლებით სრულფასოვანი სარგებლობა სახელმწიფოს მიმართ კრიტიკული მოსაზრების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია.¹⁶

13 EU Human Rights Guidelines on Freedom of Expression Online and Offline გვ.3. ე

14 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახადლო დამცველი და საქართველოს ახადგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11

15 EU Human Rights Guidelines on Freedom of Expression Online and Offline, გვ. 3

16 Protecting the right of freedom of expression under the european convention on Human Rights, გვ.13.

გარდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებისა, გამოხატვის თავისუფლებით დაცულია ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელება (ე.წ. კომერციული გამოხატვა) ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ისევე როგორც შემოქმედებითი ნამუშევრებისა და პერფორმანსის გავრცელება, როგორც შეხედულებების გავრცელების ერთ-ერთი ფორმა.¹⁷ „საკუთარი შემოქმედებით, ხელვანი არა მხოლოდ სამყაროს მისეულ ხედვას გადმოსცემს, არამედ იმ საზოგადოების ხედვასაც, რომელშიც ის ცხოვრობს. ამგვარად, ხელვანება არა მხოლოდ საზოგადოებრივი მოსაზრების ფორმირებას უწყობს ხელს, არამედ ის თავად გამოხატავს მას და შეუძლია საზოგადოების წინაშე მიმდინარე მწვავე საკიხების წარმორჩენა.“¹⁸

შეურაცხყოფილი გამოხატვა

გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროზე მსჯელობისას ცადვე აღნიშვნის ღირსია შეურაცხყოფილი გამოხატვა. აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის, შეურაცხყოფილი გამოხატვის, შეზღუდვის საფუძვლებზე მსჯელობას სამართლებრივის გარდა, ფილოსოფიური ისტორიაც გააჩნია. გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე ჯონ სტიუარტ მილი, თავის საქვეყნოდ ცნობილ ნაშრომში – „თავისუფლების შესახებ“¹⁹, აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „ერთ მართვ პრინციპს“ უნდა დაექვემდებაროს, რომელსაც დღეისათვის შიანის პრინციპის სახელით ვიცნობთ, რომლის მიხედვითაც: ერთადერთი მიზანი, რომელიც გაამართლებდა ძალის გამოყენებას ცივილიზებული საზოგადოების რომელიმე წევრზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, არის სხვებისათვის ვნების მიყენების აღკვეთა“.

მიღის შეფასებით, ნებისმიერ მოსაზრებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა იხილოს დღის შუქი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ამორალური შეიძლება იყოს ის ვინმესთვის – „ერთი ადამიანის გარდა, მთელი კაცობრიობა ერთი ამრისა რომ ყოფილიყო, და მხოლოდ ამ ერთ ადამიანს ჰქონოდა საპირისპირო ამრი, უფრო გამართლებული არ იქნებოდა კაცობრიობის მიერ ამ ერთი ადამიანის გაჩუქება, ვიდრე ამ ერთი ადამიანის მიერ, თუკი მას ამის ძალა ექნებოდა, მთელი კაცობრიობის გაჩუქება“.²⁰

17 იქვე, გვ.14

18 Protecting the right of freedom of expression under the european convention on Human Rights, გვ.14.

19 სტიუარტ ჯ. მილი „თავისუფლების შესახებ“.

20 იქვე.

წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის, ამგვარ გამოხატვაზე დამატებით ყურადღების გამახვილება რეგვანტურია, იმდენად რამდენადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით დასჯადი ქმედება – **სასამართლოს უპატივცემულობა**, ამავე მუხლის ჩანაწერის მიხედვით, სამართალწარმოების მონაწილის (366.1 მუხლი) ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის, **შეურაცხყოფაში გამოიხატება**. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობა არ განმარტავს თუ რა ტიპის ქცევას/გამოხატვას გულისხმობს შეურაცხყოფაში. ზოგადად, ჩანაწერიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უპატივცემულობა, კანონმდებლის შეფასებით, უფრო ფართო და მრავლის მომცველი ცნებაა, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის შეურაცხყოფა.

შეურაცხყოფედ გამოხატვაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა რა შესავად ნაწილში ნახსენები Handyside-ის საქმეში ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტი, დაადგინა, რომ: *„თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილისთვის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება ალაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის სამრელობისთვის შეუცვლელი წყაროა“.*²¹

„თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია, განუმეორებელია, განსხვავებულია და სწორედ ეს ქმნის შანსს მრავალფეროვნებისა და, მაშასადამე, პროგრესისთვის. ამიტომ შეუძლებელია იმ მოსაზრებების თუ გამონათქვამების შემოფარგვლა და ამომწურავად იდენტიფიცირება, ტერმინოლოგიის განსაზღვრა, რომელიც მთლიანად საზოგადოებისთვის, ყველა ადამიანისთვის მისაღებია. მით უფრო დაუძვეველი ამოცანაა ასეთ მოსაზრებებზე ხელგნურად შეთანხმება ან უპირობოდ გაზიარების დავადებულება, შედეგად კი, ყველაფერი დანარჩენის კანონის მიღმა

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40

გამოცხადება. [...] ამიტომ სახელმწიფოს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაეყოს ამრები „მართებულ“ თუ „არამართებულ“, „სასურველ“ თუ „არასასურველ“ და სხვა სახის კატეგორიებად. თუ ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს ან თუ მას აიძულებენ თქვას ის, რასაც არ ეთანხმება, ამით შეურაცხყოფენ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველს – მის ღირსებას“.²²

საკონსტიტუციო სასამართლოს ამავგვ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„მოგადად, სიტყვის მართლმსაჯულების ობიექტად ქცევა უკიდურეს შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია. არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შემზღვევა მართლმსაჯულების გზით მხოლოდ იმის გამო, რომ არ ვეთანხმებით, გვეშინია, გვძულს, მიგვაჩნია, რომ საზოგადოების მორალისა თუ ტრადიციების შეუსაბამოა. გამოხატვის თავისუფლების და, მაშასადამე, დემოკრატიის სიცოცხლისუნარიანობისთვის განსაკუთრებული სიფრთხილე სწორედ ასეთი ნეგატიური განწყობებისა თუ დამოკიდებულებების განმაპირობებელი მოსაზრებების მიმართ სამართლის დამოკიდებულებას მართებს. გამოხატვის თავისუფლების დაბადანსების საუკეთესო გზა ისევ გამოხატვაა – რადგან ნებისმიერი მოსაზრება, გამონათქვამი, რომელსაც არ ეთანხმები, არ მოგწონს ან, შენი ამრით, სიმართლეს არ შეესაბამება, შეიძლება უარყო სანინალმდეგო მოსაზრებებითა და იდეებით, რომელთაც იზიარებ, მოგწონს ან სწორად მიგაჩნია“.²³

ზემოსხენებული განმარტებების საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში ექცევა, მათ შორის, შეურაცხმყოფელი გამოხატვაც. სანამ ამ მიმართულებით ევროპული სასამართლოს განსხვავებულ მიდგომაზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, უნდა აღინიშნოს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, დადგენილია შეურაცხმყოფელი გამოხატვის შემზღვევის ერთერთი წინაპირობა, კერძოდ, „კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება: [...] პირისპირ შეურაცხყოფას“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემზღვევის ამგვარი

22 იქვე, II-41. იხ. ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13.

23 იქვე, II-50,51.

სტანდარტი დაკავშირებულია პირისპირ, შეურაცხმყოფელი გამოხატვის საფუძველზე ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრასთან და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში – Schenck v. United States²⁴, პირველად გაჟღერდა „ცხადი და მყისიერი საფრთხის“ ტესტი. პირველ მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვის შემდეგ, კონგრესმა ე.წ. „ჯაშუშობის წინააღმდეგო“ აქტი მიიღო, რომლითაც ქვეყნის საომარი მოქმედებების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ობსტრუქციის გამოვლენა ფედერალურ დანაშაულად გამოცხადდა. ფილადელფიის სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივან შენკს სწორედ აღნიშნული აქტის დარღვევაში ედებოდა ბრალი, კერძოდ, აღნიშნული პარტიის შტაბბინაში მიიღეს რეზოლუცია 15 000 პამფლეტის დაბეჭდვისა და შემდგომში ფოსტით თუ სხვა საშუალებით წვევამდელთათვის დარიგების შესახებ. პამფლეტში ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-13 შესწორება იყო ციტირებული და ცდილობდა ამ ფორმით აეხსნა, თუ რატომ მიიჩნედათ პამფლეტის ავტორებს საგადღებულო სამხედრო სამსახური დესპოტიზმის ყველაზე უარეს ფორმად.²⁵

შენკის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ კონგრესს ომიანობის პერიოდში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფართო დისკრეცია მიანიჭა. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ოლივერ გენდერ ჰოლმსის შეფასებით, „ყვედანაირი ქმედების ხასიათი დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომელთა პირობებშიც ეს აქტი შესრულდა, თავისუფალი სიტყვის ყველაზე მკაცრი დაცვა კი ვერ გააძმართლებს იმ ადამიანს, რომელიც თეატრში ტყუილად დაიძახებს: „ცეცხლი!“ და ამით პანიკას გამოიწვევს“.²⁶ ამასთანავე, „ყველა ასეთ საქმეში მთავარია იმის დადგენა, გამოყენებული სიტყვა წარმოითქმება თუ არა ისეთი გარემოების დროს, რომ შეუძლია ცხადი და მყისიერი საფრთხის შექმნა, ისეთი საფრთხისა, რომლისგან დაცვა კონგრესის უფლებამოსილებას შეესაბამება“.²⁷ ამგვარად, „ცხადი და მყისიერი“ საფრთხის ტესტი, მისი არსებობის

24 Schenck v. United States 249 U.S. 47 (1919).

25 ბ. რურა, თავისუფლების კანონი, Schenck v. United States, გვ. 411.

26 ბ. რურა, თავისუფლების კანონი, გვ. 414.

27 იქვე.

თავდაპირველ წლებში, ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევდა, შეეზღუდა „სახიფათო ტენდენციის“ შემცველი გამოხატვა. როგორც უზენაესი სასამართლოს იმდროინდელი პრაქტიკა ცხადყოფს,²⁸ აღნიშნული ტესტი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სიტყვის თავისუფლებას უფრო მეტად ზღუდავდა, ვიდრე პირიქით, თუმცა ბრანდენბურგის გადაწყვეტილების²⁹ შემდეგ, ეს ტესტი გახდა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფი. ტესტით გაფართოვდა უფლების ფარგლები და მოიცვა გამოხატვის ფორმათა უმრავლესობა. აღნიშნულ საქმეში სასამართლოს მიერ დადგენილი ახალი სტანდარტით, გამოხატვა არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამონეგვას და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ეს მოხდება. ბრანდენბურგის ტესტის თანახმად, რომელიც დღესაც ძალაშია, თუ მკაფიოდ არ იკვეთება ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, ძალადობისა და სიძულვილის ქადაგებაც კი დაცულია პირველი შესწორებით. ტესტის მოქმედების ფარგლები უფრო მკაფიო რომ გახდეს, უნდა აღინიშნოს, რომ ბრანდენბურგის საქმეში ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კუ ვლუქს კლანის წევრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სინდრიკალიზმისათვის.

პარადღეურად, შედარებით განსხვავებული მიმართულებით განვითარდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, Handyside-ის საქმეში ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-10 მუხლი იცავს შეურაცხყოფელ, შოკისმომგვრელ, საზოგადოებისათვის მიუღებელ გამოხატვასაც.³⁰ მართალია, ევროპულმა სასამართლომ შეინარჩუნა აღნიშნული მიდგომა და დღესაც, გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში აქცევს შეურაცხყოფელ გამოხატვას, თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული მიდგომისაგან განსხვავებით, ევროპული სასამართლო დამატებით ერთ კომპონენტზე – მიზანზე, ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას.³¹ მისი

28 „ცხადი და მყისიერი“ საფრთხის ტესტმა, საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე, გარკვეული ცვლილებები განიცადა. მასთან ერთად ასევე გამოიყენებოდა „სახიფათო ტენდენციის“ ტესტიც. იხ. საქმეები: „აბრაშის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1919), „ვიტლუ ნიუ იორკის წინააღმდეგ“ (1925), „დენისი შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1951). საერთო ჯამში, 1940 წლიდან 1951 წლამდე, სასამართლომ აღნიშნული ტესტი 12 საქმეში გამოიყენა.

29 Brandenburg v. Ohio 395 U.S. 444 (1969).

30 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Handyside v. the United Kingdom, პარ. 49.

31 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Sekmadienis Ltd. V. Lithuania პარ. 80-81.

შეფასებით, დაცულია, მათ შორის, შეურაცხმყოფელი გამოხატვა, თუკი მას საზოგადოებისათვის გარკვეული ღირებულების მომტანი, საჭარო დისკუსიაში წვდომის შემტანი ან სხვა მსგავსი **მიზანი** გააჩნია. ხოლო, რაც შეეხება, იმგვარ გამოხატვას, რომლის ერთადერთ მიზანსაც, პირის დამცირება, მისი პატივისა და ღირსების შეღახვა წარმოადგენს, იგი ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

ყოველივე ზემოქმუდიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების დაცულ სფეროზე მსჯელობისას, პირველ რიგში ვგულისხმობთ ამრის ქონის, შეხედულებისა და ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას. ხოლო რაც შეეხება შეურაცხმყოფელი გამოხატვის დაცვას, ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპულ სასამართლოს მცირედიტ განსხვავებული პრაქტიკა აქვტ განვიტარებუდი. მიგვარჩნია, რომ ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებუდი პრაქტიკა არ საჭიროებს გადახედვას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არსებუდი მოწესრიგება გამოხატვის თავისუფლების იმაზე მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე ეს ევროპული კონვენციის მინიმალური სტანდარტით არის გათვადისწინებუდი.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების შემოწმების წესი და პროცედურა

როგორც უკვე აღინიშნა, „გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შესაძლებელია დაექვემდებაროს შემლუღვას კონსტიტუციაში მოცემული დეგრიტიმური მიზნების მისაღწევად, მიზნის მიღწევის თანამომიერი საშუალებების გამოყენებით. კანონმდებელი ვადებუელია, უფლებაშემზღუდველი ნორმების დადგენისას, დაიცვას გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შემლუღვდ უფლებას შორის, რათა ადამიანის უფლება იმაზე მეტად არ შეიზღუდოს, ვიდრე ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის“.³² შესაბამისად, წინამდებარე თავი შეეხება გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის კანონიერების შემოწმების წესსა და პროცედურას საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის შესაბამისად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტსა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოყალიბებულია ის საფუძვლები/ვტაპები, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს უფლებაში ჩარევა. კერძოდ, „ამ უფლებათა შემლუღვა დასაშვებია მხოლოდ (1) კანონის შესაბამისად, (2) დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი (3) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.³³ ნებისმიერი ფორმით შემლუღვა, ან ჩარევა გამოხატვის თავისუფლებაში, უნდა მიემართებოდეს მხოლოდ ამ თავისუფლებით სარგებლობის კონკრეტულ ფორმას და არავითარ შემთხვევაში მის შინაარსს. ნათელია, რომ შინაარსზე დაწესებული შემლუღვა, ამ უფლებით სარგებლობის საერთოდ უგუღვებელყოფად ჩაითვლება.

ამასთანავე, გასათვადისწინებელია ის ფაქტიც, რომ „დეგრიტიმური მიზნის არსებობა ყოველთვის არ არის საკმარისი გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის გასამართლებლად. თანამომიერების პრინციპის

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ადელსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმადაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-7.

33 Protecting the right of freedom of expression under the european convention on Human Rights, გვ.32.

მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეზღუდვა არ უნდა იწვევდეს პირის უფლების იმავე მაღალი ხარისხით შეზღუდვას, რაც უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. უნდა შემოწმდეს, რამდენად აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების უზრუნველსაყოფად, გამოხატვის თავისუფლების ამ ფორმით შეზღუდვა, ხომ არ არსებობს პირის უფლების უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა იმავე მიზნის მიღწევა“.³⁴

„კონსტიტუციური წესრიგი არ იცნობს იერარქიას ადამიანის უფლებებს შორის, კონსტიტუცია არ ითვალისწინებს და ვერ დაუშვებს რომელიმე უფლების თავისთავად უპირატესობას სხვა უფლებასთან/უფლებებთან მიმართებით. „უფლება ის ლეგიტიმური ინტერესია, რომელიც ამართლებს დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირის თავისუფლების შეზღუდვას“³⁵. ამიტომ, მიუხედავად გამოხატვის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობისა, როგორც დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ისე თითოეული ადამიანის პიროვნული ავტონომიისა და თვითრეალიზაციისთვის, ცადკეულ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია და ვადდებუდიც, ჩაერიოს გამოხატვის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა ავტონომიის პატივისცემა, ცადკეული ინდივიდებისა თუ საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა. „[...] მაშასადამე, გამოხატვის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, ის არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებების, მათ შორის, რეპუტაციის დასაცავად“³⁶

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტისა და ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, იმისათვის, რათა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კონვენციას, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. სამწვეროვან ტესტს, რომლის ფარგლებშიც მოწმდება, შეზღუდვის:

1. კანონით განსაზღვრულობის საკითხი;
2. იმ ლეგიტიმური მიზნის არსებობის საკითხი, რომელსაც შეზღუდვა ისახავს მიზნად;

34 Protecting the right of freedom of expression under the european convention on Human Rights, გვ.19.

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

36 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45-47

3. შეზღუდვის აუცილებლობისა და გამოყენებული საშუალების მისაღწევ მიზანთან პროპორციულობის საკითხი.

ყველა შემოსხენებული წინაპირობა კუმულატიური ხასიათისაა. იმისათვის, რათა შეზღუდვა ჩაითვალოს კონსტიტუციასთან/კონვენციასთან შესაბამისად, აუცილებელია სამივე მათგანის ერთდროულად არსებობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ევროპული სასამართლო შემომწმების იდენტურ ტესტს იყენებენ, წინამდებარე თავში შეზღუდვის თითოეულ საფეხურს ორივე სასამართლოს პრაქტიკის ფონზე განვიხილავთ.

კანონით განსაზღვრულობის საკითხი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, პირდაპირ და ცალსახად მიუთითებს, რომ პირველ და უპირობოდ შესასრულებელ ეტაპს – შეზღუდვის კანონის საფუძველზე განსაზღვრა წარმოადგენს. **კანონით განსაზღვრულობის** შემომწმების ეტაპზე, ფასდება ორ ასპექტი – კანონის ფორმალური და ხარისხობრივი მახასიათებლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუციასთან (და შესაბამისად ევროპულ კონვენციასთან) შეუსაბამოდ ჩაითვლება ნებისმიერი მზღუდავი მექანიზმის არსებობა, თუკი მისი საფუძველი მოქმედი კანონმდებლობიდან არ მომდინარეობს. ხსენებული საკითხი, თავის მხრივ ორი ქვესაკითხისაგან შედგება, პირველი ეს არის, უშუალოდ ტერმინის – „**კანონი**“, შინაარსი და იმ ნორმატიული აქტების ერთობლიობა, რომელიც აღნიშნული ტერმინის ქოლგის ქვეშ ექცევა. რაც შეეხება მეორე ქვესაკითხს, იგი დაკავშირებულია კანონშემოქმედების ხარისხობრივ სტანდარტთან.

„კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონით მოწესრიგების ფორმალური მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც (1) საკითხი უშუალოდ მოწესრიგებულია კანონით; ან (2) კანონმდებელმა კანონით მოახდინა საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დედეგირება სხვა კომპეტენტურ ორგანოზე. კონსტიტუციით დადგენილი ფორმალური მოთხოვნა, რომ ესა თუ ის საკითხი მოწესრიგდეს კანონით, კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ დეგეტიმურ ორგანოდ, საქართველოს პარლამენტის განსაზღვრას ემსახურება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია სახედრებით მიუთითებს იმ საკითხებს, რომელთა მოწესრიგების უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს პარლამენტს გააჩნია (კანონით

წესრიგდება). ამასთან, პარლამენტის მიერ სხვა ორგანოსთვის უფლება-
მოსილების გადაწვდობა, მოაწესრიგოს [...] საკითხები, თავისი არსით,
ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მიიჩნევა ამ საკითხის კანონის
ძალით მოწესრიგებად (თუ კონსტიტუცია სახელდებით არ მიუთითებს
უფლებამოსილების დელეგირების აკრძალვას) და აკმაყოფილებს კო-
ნსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს. ამასთან, კანონითვე უნდა განი-
საზღვროს ის კომპეტენტური ორგანო, რომელმაც ხდება კანონმდებლის
მხრიდან უფლებამოსილების დელეგირება. გასათვალისწინებელია, რომ
დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიხე-
დულების ფარგლები შეზღუდულია ადამიანის უფლებებითა და კონსტი-
ტუციური პრინციპებით“.³⁷

ზოგადად, კანონმდებელი ვადლებულია, მიიღოს მკაფიო, არაორაზროვანი,
განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის
განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი
კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. კანონმდე-
ბლის ასეთი ვადლებულება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან
მომდინარეობს.

„კანონად“ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ
ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს.
ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის
უმენავსობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან.
ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი
მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას.
კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს
იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს
სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი
ქმედების შესაბამისად წარმართვა“ (2007 წლის 26 დეკემბრის გადა-
წყვეტილება საქმეზე *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
და საქართველოს მოქალაქე ვკატერინე დომთათიძე საქართველოს
პარლამენტის წინააღმდეგ“*).

რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებებში, მით უფრო მკაცრია
მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ. ამ დროს კანონმდებელს აკისრია
ვადლებულება, საჭარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე
„საქართველოს მოქალაქე გიორგი ვრავიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19-20.

მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, მართლმომიერებას, აუცილებლობას თუ გარდაუვალობას, იმავე დროს, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, მის მიმართ რა ზომები გატარდება.

კანონის განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა გულისხმობს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები კონკრეტული, გასაგები და მკაფიო იყოს. „*კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევამდე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვის და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. სამართლის უზენაესობის პრინციპთან შესაბამისობისათვის კანონი უნდა უზრუნველყოფდეს უფლების ეფექტური დაცვის შესაძლებლობას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განისაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში. შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ სასამართლო თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. თუ უფლებაში ჩარევამდე უფლებამოსილ პირს მუსტად და კონკრეტულად არ ეცოდინება თავისი შესაძლო მოქმედების ფარგლები, ერთი მხრივ, უნებლიეთ გაიზრდება რისკი უფლებაში არასწორი, გადამეტებული ჩარევისა, ხოლო, მეორე მხრივ, ცდუნებაც უფლების შეგნებულად ბოროტად გამოყენებისა, რისი კანონმომიერი შედეგიც არის უფლების დარღვევა“ (2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ღომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“). (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, ქეთევან ერემაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის №1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილებაზე, პარ. 4). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იდენტური მიდგომა აქვს კანონით განსაზღვრულობის ნაწილში. The Sunday Times-ის საქმეში დადგინდი სტანდარტით, რომელსაც ევროპული სასამართლო ყოველი მომდევნო საქმის გადაწყვეტის პროცესში უბრუნდება, კანონით განსაზღვრულობა³⁸, თავის მხრივ, აერთიანებს ორ მოთხოვნას,*

38 „prescribed by law“.

„პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადვილად ხედმისაწვდომი: მოქალაქეებს, გარემოებების მიხედვით, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაერკვნენ, რომელი სამართლებრივი ნორმები გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში; მეორე, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს „კანონად“ თუ იგი არ არის ფორმულირებული საკმარისი სიცხადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საჭიროებისამებრ, შესაბამისი დახმარებით, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, განჭვრიტოს ის შედეგები, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს.“³⁹

„სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული „კანონით განსაზღვრულობა“ მოითხოვს, რომ დაწესებულ ღონისძიებას გააჩნდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნული კანონმდებლობის დონზე, ის ასევე მიემართება გამოყენებული კანონის ხარისხსაც, რომელიც უნდა იყოს პირისათვის ხედმისაწვდომი და განჭვრეტადი მისი შედეგების მიმართ. რაც შეეხება უშუალოდ განჭვრეტადობის მოთხოვნას, სასამართლოს არაერთხელ განუცხადებია, რომ ნორმა ვერ ჩაითვლება „კანონად“ კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, თუკი ის არ არის საკმარისი სიცხადით ფორმულირებული, რათა პირს მიეცეს შესაძლებლობა განსაზღვროს საკუთარი ქცევა. აღნიშნულ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს – თუ საჭიროა სათანადო დახმარების გამოყენებით – განსაზღვროს, მოცემულ პირობებში ქცევის საზღვრები და ის შედეგები, რომელიც ამგვარ ქცევას თან სდევს.“⁴⁰ ევროპულ სასამართლოს, მხოლოდ ძალიან იშვიათი გამონაკლისების სახით აქვს გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიცია გამობატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად საერთო სამართლის წესის ან საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, The Sunday Times-ის საქმეში, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბრიტანული საერთო სამართლის წესი სასამართლოს შეურაცხყოფის შესახებ, საკმარისად მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული საიმისოდ, რომ „კანონით განსაზღვრულობის“ მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ასევე, შვეიცარიის წინააღმდეგ მიღებულ ორ საქმეში⁴¹,

39 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, The Sunday Times v. the United Kingdom, პაწ. 49.

40 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Brisc v. Romania პაწ. 91-92.

41 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Groppera Radio AG and others v. Switzerland, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Autronic AG v. Switzerland.

სასამართლომ სახელმწიფოს, „კანონით განსაზღვრულობის“ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ნება დართო, შიდა დონეზე გამოყენებად საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს დაყრდნობოდა.

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ შეზღუდვის საფუძველი ნამდვილად უშუალოდ კანონიდან მომდინარეობდა, ან მოწესრიგების უფლებამოსილება სათანადო ფორმით იქნა კომპეტენტურ ორგანოზე დელეგირებული, უნდა შემოწმდეს კანონის ხარისხობრივი მახასიათებელი. ამ უკანასკნელის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება ის, თუ რამდენად **განჭვრეტადი ნორმა**, რომლის საფუძველზეც დგინდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. „**გამოხატვის თავისუფლების შემზღვეველი ნორმები უნდა იყოს გათვალისწინებული ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით.**“⁴²

„**კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, წინასწარ განჭვრეტადი და მუსტად განსაზღვრული, აგრეთვე უნდა შეიცავდეს სხვა გარანტიებს თვითნებობის რისკისგან დასაცავად. ნორმა, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა ემყარება, საკმარისად მუსტი უნდა იყოს, რათა პირმა, თუნდაც სათანადო კონსულტაციით წინასწარ განჭვრეტოს იმ ხარისხით, რომელიც მოცემულ გარემოებებს შეესაბამება, თუ რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ქმედებას.**“⁴³

ევროპულმა სასამართლომ Rotaru-ს საქმეში დაადგინა, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა ვერ ჩაითვლებოდა „**კანონად**“ კონვენციის მიზნებისათვის, ვინაიდან ის არ იყო „**იმდენად ცხადად ფორმულირებული, რომ ინდივიდს ჰქონოდა შესაძლებლობა – საჭიროების შემთხვევაში სათანადო რჩევით – დაერეგულირებინა საკუთარი ქცევა**“⁴⁴ ასევე, Petra-ს საქმეში რუმინეთის წინააღმდეგ, სასამართლომ მიიჩნია, რომ „**შიდა კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენებოდა დაკავებულთა კორესპონდენციების მონიტორინგისათვის ... ეროვნული ხელისუფლებისათვის მოქმედების ძალიან ფართე არეაღს ტოვებდა**“⁴⁵

42 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება „საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უზგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; II-7.

43 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

44 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე . Rotaru v. Romania, პარ. 55.

რომ ფარულად განხორციელებული რეგულაციები „ვერ აკმაყოფილებდნენ განჭვრეტადობის მოთხოვნას ... რუმინული კანონმდებლობა სათანადო სიცხადით ვერ აღწერდა საჯარო დაწესებულების დისკრეციის ფარგლებს“.⁴⁵ „განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემთარღვების თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადვენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განჭვრეტოს საკუთარ ქმედებაში აკრძალული ქმედების ნიშნები და წარმართოს საკუთარი ქცევა კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად“⁴⁶

კანონის განჭვრეტადობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე გაამახვილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დანაშაულის დამდგენ ნორმებთან მიმართებით. სასამართლოს შეფასებით, „*დანაშაულის დამდგენი სისხლის სამართლის კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, შესაძლებელი იყოს მისი თითოეული ელემენტის ნამდვილი შინაარსისა და ფარგლების დადგენა, რათა ადრესატმა სწორად აღიქვას კანონი და მისი მოთხოვნების შესაბამისად განახორციელოს თავისი ქცევა, ამასთან, დაცული იყოს სამართალშემთარღვების თვითნებობისაგან. „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიმუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების სავნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრეტოს ქცევის შედეგები.“*⁴⁷

მსგავსად, კანონით განსაზღვრულობის მოთხოვნისა, განჭვრეტადობის ნაწილშიც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა იდენტურია. „*კანონის ხარისხი*“ თავის მხრივ მოიცავს იმას, რომ იქ, სადაც ეროვნული კანონ-

45 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Petra v. Romania, პაწ. 37-38.

46 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ადელსანდრე ბარამიძე, დამა ტულუში, ვახტანგ ხმაილაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-30

47 იქვე, 31

მდებლობა თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილებას ითვალისწინებს, ის უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, მუსტი და წინასწარ განჭვრეტადი მისი გამოყენების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობის ყველა რისკი (იხ., Nasrulloev v. Russia, no. 656/06, §71, 11 October 2007, and Mooren v. Germany [GC], no. 11364/03, §76, 9 July 2009). კონვენციით დაწესებული „კანონიერების“ სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა კანონი იყოს საკმარისად მუსტი, რათა პირს მისცეს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი რჩევით – მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეული ხარისხით, წინასწარ განსაზღვროს ის შედეგები, რომლებსაც მოცემული ქმედება გამოიწვევს“.⁴⁸

ლეგიტიმური მიზნის არსებობა

კანონით ფორმალური და შინაარსობრივი მახასიათებლისა და ნორმის განჭვრეტადობის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს იმას, თუ რომელი დეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის დაწესებული შეზღუდვა. უფლების შემზღუდველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის დეგიტიმური მიზნის არსებობას. სადავო აქტების შეფასებისას, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს ის მიზანი, რომელიც ამოძრავებდა კანონმდებელს მათი მიღებისას. თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეიძლება შეფასდეს კანონმდებლის მხოლოდ დეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებათა კონსტიტუციურობა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოლა“, გივი აბადაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ, II-9)“.⁴⁹ „ხელისუფლება უფლებამოსილია, დააწესოს ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვები გამობატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, თუმცა ასეთი შეზღუდვა (რეგულირება) დეგიტიმური მიზნის მიღწევისკენ უნდა იყოს მიმართული და ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს“.⁵⁰

48 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ვაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ.62.

49 ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის დეგიტიმური მიზანი, 2.1. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული დეგიტიმური მიზნების არსებობისას, გვ. 27. 2013.

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-53

„კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ამ ასპექტის შემლუღვას კონსტიტუციითვე დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს და შემლუღვის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვადს ადგენს. კერძოდ, კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, ამრისა და ინფორმაციის გავრცელების შემლუღვა გამართლებულია სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად“⁵¹

მსგავსად კანონით განსაზღვრულობის ეტაპის შემონმებისა, დეგტიმური მიზნების განსაზღვრის ნაწილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა იდენტურია. „გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის შემონმების ტესტის მეორე ნაწილის მიხედვით, შემლუღვა უნდა ემსახურობდეს დეგტიმური მიზნის ან ინტერესის დაცვას. როგორც კონვენციის მე-10 მუხლი მე-2 პუნქტის ფორმულირებიდან, ასევე სასამართლოს პრაქტიკიდან, ნათელია რომ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ინტერესთა ჩამონათვალი ამომწურავია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვერცერთი სხვა საფუძველი ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად“⁵²

„ცადკეულ შემთხვევაში, ამრისა და გამოხატვის თავისუფლებას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა სხვა უფლებებთან შედარებით, მაგრამ ამის მართლზომიერების შეფასება ზუსტად სასამართლოში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე, რომელსაც შესაძლოა შეიცავდეს კონკრეტული პროგრამა ან ინფორმაცია და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას. სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, შეაფასოს გამოხატვის ფორმის და შინაარსის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, ის ზიანი, რომელიც ამ უფლების რეალიზაციამ გამოიწვია“⁵³

51 იქვე, 29-30.

52 Mendel T., A Guide to the Interpretation and Meaning of Article 10 of the European Convention on Human Rights გვ.38

53 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „გორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შეზღუდვის აუსილებლობა და პროპორციულობა

შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემოწმების ტესტის ბოლო, მესამე საფეხურზე, მოწმდება შეზღუდვის აუცილებლობა და შერჩეული საშუალების პროპორციულობა. „*ღეგითიმური მიზნების არსებობისა და მათი დაცვის რეალური საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული, ოღონდ, რა თქმა უნდა, ისევ კონსტიტუციით დადგენილი წესითა და ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, სწორი და ეფექტური გზის ძიებისას კანონმდებელმა, პირველ რიგში, უნდა დააკმაყოფილოს ის მოთხოვნა, რომ მის მიერ შერჩეული რეგულაციით ღეგითიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი იყოს, ანუ ის (რეგულაცია) რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ღეგითიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე. უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგისი, მისაღები საშუალება უნდა იყოს. უნდა არსებობდეს უშუალო და რეალური კავშირი მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებას შორის. ამ დროს მხედველობაში მიიღება ის გარემოებაც, თუ რა მასშტაბისა და ინტენსივობის სავარაუდო ზიანის თავიდან აცილებას მოითხოვს კონკრეტული ღეგითიმური მიზნის მიღწევა, დაცვა. უფლებაში ჩარევის კონკრეტული ფორმა საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ასეთი საფრთხეები თავიდან იქნეს აცილებული და კონსტიტუციით გათვალისწინებული ღეგითიმური მიზნები - დაცული. მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა; წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად მიაღვება ზიანი როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს“.⁵⁴*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდვის აუცილებლობასა და პროპორციულობას. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ: „*პრაქტიკაში, ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეების დიდი უმრავლესობა, სწორედ ტესტის მესამე საფეხურზეა გადაწყვეტილი, ყველა გარემოების მხედველობაში მიღების საფუძველზე, იმის შეფასებით, რამდენად არსებობდა დემოკრატიულ საზოგადოებაში შეზღუდვის აუცილებლობა. აუცილებლობის შეფასებისას, სასამართლო ხეიძღვანელობს რამდენიმე პრინციპით, რომელიც სათავეს აძრეული გადაწყვეტილებებიდან იღებს, და ძღვსაც, უმეტეს შემთხვევაში*

54 ენემაძე ქ., ინტერნეტა დაბადანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, 2. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ღეგითიმური მიზანი, 2.1. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული ღეგითიმური მიზნების არსებობისას, გვ. 27. 2013

გვხვდება: სასამართლომ აღნიშნა, რომ მედსართავი „აუცილებელი“, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, არ ნიშნავს იგივეს, რასაც „შეუცვლელი“, არც გამოხატვის ისეთი მოქნილობით გამოირჩევა, როგორც „დასაშვები“, „ჩვეულებრივი“, „გამოსაძვავი“, „რაციონალური“ ან „სასურველი“, არამედ აღნიშნული ტერმინი გამოხატავს „მკაცრ საზოგადოებრივ საჭიროებას“ (მაგ: Sunday Times (No. 1) v. the United Kingdom, 1979, პარ. 59). თავის მხრივ, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მიემართებოდა გამოყენებული ღონისძიება „მკაცრ საზოგადოებრივ საჭიროებას“, სასამართლოს განმარტებული აქვს, რომ: კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ჩარევის გასამართლებლად სახედრმწიფოს მიერ წარმოდგენილი მიზნები იყო თუ არა „რეღევანტური და საფუძვლიანი“ და ასევე, გამოყენებული ღონისძიება იყო თუ არა „დასახული რეგულირების მიზნის მისაღწევად პროპორციული“... ამგვარი მიდგომით, სასამართლომ უნდა დაადასტუროს, რომ ეროვნულმა ორგანოებმა, რომლებიც მოქმედებდნენ რეღევანტური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამოიყენეს იმგვარი სტანდარტები, რომელიც კონვენციის მე-10 მუხლით განმტკიცებულ პრინციპებს შეესაბამება (Cumpănă and Mazăre v. Romania, 2004, § 90).⁵⁵

თავის მხრივ, ამგვარი საჭიროების არსებობის განსაზღვრისას, კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს გააჩნიათ დისკრეციის გარკვეული ზღვარი (მიხედულების ზღვარი). აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპულ სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ მაშინ როდესაც, ადგილი აქვს კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას, უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მკაცრი ზედამხედველობა უნდა გაეწიოს. აღნიშნულ უფლებათა აუცილებლობაზე სასამართლომ არაერთხელ მიუთითა. შესაბამისად, მათი შემლუღვის აუცილებლობა დამატებლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: 1990 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება, Autronic AG v. Switzerland პარ. 61. ასევე, 1997 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება, Worm v. Austria, პარ. 47,⁵⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Dupuis and Others v. France პარ. 36). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ადამიანის

55 Mendel T., A Guide to the Interpretation and Meaning of Article 10 of the European Convention on Human Rights გვ.39

56 Freedom of expression in Europe, Case-law concerning Article 10 of the European Convention on Human Rights გვ.11, 2007.

უფლებათა ევროპულ სასამართლოს, სახელმწიფოს მიერ ჩარევის გასამართლებლად წარმოდგენილი მიზეზები, „*მკაცრი სამოვადოებრივი საჭიროების*“ წარმოსაჩენად, არასაკმარისად მიუჩნევიან.⁵⁷

შეზღვევის აუცილებლობისა და პროპორციულობის განსამზღვრაზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. სასამართლოს შეფასებით, „*შეზღვევა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული და თავისუფალი სამოვადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღვევის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღვევით გამონვეულ მიანს*“.⁵⁸

57 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Wille v. Liechtenstein პარ. 70, ასევე News Verlags GmbH & Co.KG v. Austria, პარ. 60

58 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად

როგორც წინა თავში უკვე განვიხილეთ, საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ დეგრიტიმურ მიზნად ერთ შემთხვევაში – სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას ასახელებს, ხოლო მერე შემთხვევაში – სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. მიგვაჩნია, რომ ტერმინებში ამგვარი სხვაობა შემთხვევითი არ არის და შესაძლოა, ცადკეუდ შემთხვევებში, საქმის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანი როლიც შეასრულოს. ჩვენი შეფასებით, „ავტორიტეტი“ უფრო მრავლისმომცვედი ცნებაა, ვიდრე დამოუკიდებლობა. სწორედ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზით არის შესაძლებელი საზოგადოების თვალში სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებულ საკითხზე ერთიანი შეთანხმება არ არსებობს და იურიდიულ წრეებში იგი განხილვის საგანს წარმოადგენს. წინამდებარე თავი, სამი სხვადასხვა იურისდიქციის ფარგლებში⁵⁹ განხილულ იმ საქმეებს ეთმობა, სადაც გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობას/ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვაზე იმსჯელებს სასამართლოებმა.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სხვადასხვა ნორმატიული აქტით, სასამართლოს საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, მათ შორის: სასამართლოში საპროცესო მოვადლობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისთვის პირის სასამართლო სხდომის დარბაზიდან/სასამართლოს შენობიდან გაძევებას, დაჯარიმებას ან ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებას.⁶⁰ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება ასევე გამოხატვის თავისუფლების *lex specialis* – შეკრება/მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა, თუკი ასეთ დროს ხდება სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, ან შეკრება/

59 იგულისხმება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო.

60 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლი.

მანიფესტაციის ჩატარება მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში.⁶¹

დასახელებული ნორმების ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა დროს გასაჩივრდა. ერთ-ერთ პირველ საქმეში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „*მთავარი, რამაც დემოკრატიული ქვეყნები ამახვილებენ ყურადღებას, არის ის, რომ სახელმწიფოში ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეღახვის ხარჯზე. საქართველოშიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ადეკვატური დაცვა ხელისუფლების კონსტიტუციური ვადლებულია*“.⁶²

ხსენებულ საქმეში, სასამართლო, გადაწყვეტილების ჩამოყალიბების პროცესში, შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა ეფექტიანი მართლმსაჯულების არსი და მის უზრუნველყოფაში სასამართლოს ავტორიტეტის, მოსამართლის პიროვნული მიუკერძოებლობისა და პატივისა და ღირსების როლი.

სადავოდ გამხდარი ნორმა მოსამართლეს აძლევდა საშუალებას, დაუყოვნებლივ მიეღო სათანადო ზომა სამართალდარღვევის აღსაკვეთად, რათა მართლმსაჯულების პროცესის გამართულად წარმართვას ხელი არ შეშლოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ საგანგებოდ აღნიშნა, რომ „*სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის კანონიერ მიზანს წარმოადგენს: ქმედითი, სწრაფი, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, სასამართლოში წესრიგის უზრუნველყოფა, სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობის აღკვეთა და მისი ავტორიტეტის დაცვა*“.⁶³

სასამართლოს შეფასებით, ხსენებული დეგრატიული მიზანი უცვლელი რჩება მაშინაც, როდესაც უპატივცემულო და შეურაცხმყოფელი გამოხატვა კონკრეტული მოსამართლეს მიემართება. „*ეს მიზანი იდენტურია ნებისმიერი სუბიექტის წინააღმდეგ უპატივცემულობის აღკვეთისას და, ბუნებრივია, გადაწყვეტი უნდა იყოს მაშინაც, როდესაც სასა-*

61 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1741 მუხლის მე-3 ნაწილი.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეტონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ.2.

63 იქვე. პარ.1.

*მართლსაძღმი უპატივცემულობა გამოიხატება მოსამართლის, როგორც პიროვნების, მისი პატივისა და ღირსების წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებლად უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, რადგან ის მართლმსაჯულების განხორციელებისას განასახიერებს სასამართლოს, შესაბამისად, არა აქვს უფლება, იყოს სუბიექტური და გამოიტანოს არასწორი, არასამართლიანი გადაწყვეტილება. ეს, პირველ რიგში, აუცილებელია მისი და მთლიანად სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისთვის“.*⁶⁴

სისხლის სამართლის წესით სასამართლოსაძღმი უპატივცემულობის გამოძახებული ქცევის კრიმინალიზების მოტივებსა და მიზნებზე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სასამართლომ. ამ განმარტების თანახმად, „სასამართლოსაძღმი უპატივცემულობა არ არის სამართალდარღვევა, მიმართული მოსამართლის პირადი ღირსების წინააღმდეგ, არამედ ხელს უშლის მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებას. უფლებამოსილება, შეაფასო ასეთი ქმედება და შეუფარდო სანქცია, განიხილება როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილი და მოსამართლის ავტორიტეტის თანამდევრი ფაქტორი. აღნიშნულით უზრუნველყოფილია სამართალწარმოების ეფექტიანი და ჯეროვანი განხორციელება“.

სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულების პროცესის შეუფერხებლად, გამართულად და ეფექტიანად წარმართვა შეიძლება იყოს.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემლუღვაზე მსჯელობისას, არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „*მოსამართლის დამოუკიდებლობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პროფესიულ საქმიანობაში ან/და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასაც*

64 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ.3.

65 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ.3.

გულისხმობს. მოსამართლე თანაბრად დისტანცირებული და დაცული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა სამოვადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფებისა ან/და პიროვნული ინტერესებისაგან. ამავგვარი, მოსამართლის, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე მრუნვა არ გულისხმობს მოსამართლის პროფესიული საქმიანობის ან სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკის აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლო ხამგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოს საქმიანობის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, მათ შორის, სასამართლოს სიახლოვეს შეკრებების (მანიფესტაციების) გმით, ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა“.66 „მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით ამრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს [...] მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა სამოვადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული“.67 აღნიშნულ მიდგომას ამყარებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული ამრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც სამოვადოების ნაწილი შეიძლება შეეძლება მკაცრად ან არადეკვატურად აღიქვამდეს.68

საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, მოსამართლეების, ისევე როგორც მთლიანად სასამართლო ხელისუფლების, სამოვადოების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოქცევის ფაქტზე, მკათფიოდ მიუთითებს ვეროპული სასამართლოც. „კითხვები მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, როგორც ნებისმიერი დემოკრატიული სამოვადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სამოვადოებრივი ინტერესის სფეროში ექცევა. ამის გათვალისწინებით,

66 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაგურია და ჭაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II პარ. 68

67 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაგურია და ჭაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ. 67

68 იქვე. პარ. 106

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლო სისტემის განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში. როგორც სამართლიანობის გარანტორი, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ ღირებულებას კანონის უზენაესობის საფუძველზე მართულ სახელმწიფოში, საკუთარი ვადებულებების სრულფასოვნად შესრულებისათვის, საზოგადოების მხრიდან ნდობით უნდა სარგებლობდეს. ამით შეიძლება გამართლდეს ნდობის დაცვის საჭიროება მძიმედ დამაზიანებელი შეტევებისაგან, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, განსაკუთრებით იმ ფაქტის ფონზე, რომ კრიტიკის ობიექტი მოსამართლეები, თავიანთი ვადებულებებიდან გამომდინარე, მოკლებულნი არიან პასუხის გაცემის შესაძლებლობას⁶⁹

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოხსენებული საქმის ფარგლებში გაკეთებული შეფასებების მიხედვით, „*დანესებულების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით*“, ⁷⁰ შეუფერხებელი მუშაობის, გენოლისაგან მისი დაცვის, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის დეგრატიული მიზნების მისაღწევად, გამართლებულია საკანონმდებლო რეგულაციის არსებობა.⁷¹ კონკრეტულად გამოხატვის თავისუფლებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ურთიერთდაპირისპირების შემთხვევაში სათანადო ბაღანსის დაცვასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მკაფიო ზღვარი გაავლო, „*საკუთარი ამრის გამოხატვის, შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარების უფლება გარანტირებული უნდა იყოს, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების რეალიზაცია სასამართლოს შეუფერხებელ მუშაობას უშლის ხელს*“. ⁷²

69 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 128.

70 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ. 59

71 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II- 60

72 იქვე. II- 60.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოხსენებულ ორ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემლუღვის მიზანია მართლმსაჯულების შეუფერხებელი და ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა. რაც, თავის მხრივ, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაჩინებით მიიღწევა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ცხადი და მყისიერი“ საფრთხის ტესტის გათვალისწინებით, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შემოხსენებულ საქმეებში ჩამოყალიბებული პოზიციის შესაბამისად, მოსამართლის პიროვნული უპატივცემულობა მის მიუკერძოებლობას საფრთხეს არ უქმნის (ამგვარი საფრთხის არსებობის შემთხვევაში კი, მხარე უზრუნველყოფილია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ბერკეტებით). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსამრგება, რომლის თანახმადაც, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვა განიხილება არა როგორც გამოხატვის თავისუფლების შემლუღვის ცალკე მდგომი დეგრატიული მიზანი, არამედ საბოლოო შედეგი, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის გზით, მისი გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობით მიიღწევა. ამდენად, სასამართლოს ავტორიტეტი წარმოადგენს არა, თავისთავად, სამართლებრივი დაცვის ობიექტს, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი სამართლებრივი ინტერესის – სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის შედეგს. ხოლო სასამართლოს ავტორიტეტთან დაკავშირებული სხვა არაფორმალური სოციალური ფაქტორები თუ სენტიმენტები, სამართლებრივად ირედეგანტურია.

სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფად გამოხატვის თავისუფლების შემლუღვაზე მსჯელობის ნაწილში ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობით სასამართლო შენობასთან და მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან შეკრება/მანიფესტაციის აკრძალვა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარება გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით. ასევე, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სასამართლო, რომლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზედაც ტარდება შეკრება ან მანიფესტაცია, შენობის ბლოკირების, დაწესებულების

საქმიანობის შეფერხების თავიდან აცილებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილია, დაანესოს შეზღუდვა შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით, მაგრამ არა უმეტეს ოცი მეტრისა. ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არსებული გარემოებისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ამ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, ისე, რომ შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციური უფლების არსი არ იყოს უგულებელყოფილი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“*“, *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“*“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დარი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სასამართლოს შეფასებით, „*საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოპასუხის მოსამზრებას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვა მართლმსაჯულების ინტერესების, სასამართლოს დამოუკიდებლობის, მოსამართლის მემოქმედებისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.*

*მოსამართლის დამოუკიდებლობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პროფესიულ საქმიანობაში ან/და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობასაც გულისხმობს. მოსამართლე თანაბრად დისტანცირებული და დაცული უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფებისა ან/და პიროვნული ინტერესებისაგან“.*⁷³

73 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „*მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“*“, *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“*“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და ვახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები

ამასთანავე, „შეკრების (მანიფესტაციის) ჩატარებისას საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიის შერჩევის მიზანს, მოსამართლის როლზე პროტესტის ან სოლიდარობის ადრესატის, კერძო სფეროსთან მაქსიმალური მიახლოება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამას არც მოსარჩელე უარყოფს. გამოხატვის ეს ფორმა მის ადრესატს არჩევანის თავისუფლებას არ უტოვებს, ის მოსამართლის კერძო სფეროში, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, დაუბრკოლებლად და გაუმართლებლად იჭრება. ეს ფაქტორი განასხვავებს საცხოვრებელ სახლთან შეკრებას (მანიფესტაციას), მაგალითად, მასმედიით ამრის (კრიტიკის ან სოლიდარობის) გამოხატვისაგან. სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად მოცხადება ასეთ შემთხვევებში მოსამართლეს, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვის შესაძლებლობის გარეშე დატოვებს. მემოალნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმა დეგიტიური მიზნის – მოსამართლის (სასამართლოს) დამოუკიდებლობის და მოსამართლის პირადი ცხოვრების დაცვის, უზრუნველყოფის პროპორციულ საშუალებას წარმოადგენს“.⁷⁴

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ „სადავო ნორმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიცხვს განაკუთვნებს შეკრებას (მანიფესტაციას), რომელიც მოსამართლის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით და მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მისი საცხოვრებელი სახლის ან სადგომის უშუალო სიახლოვეს ხორციელდება. სადავო ნორმით დაწესებული აკრძალვა ისეთ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც შეკრების (მანიფესტაციის) მოსამართლის საცხოვრებელ სახლთან ჩატარება, მის კერძო ცხოვრებაში, მის პირად სივრცეში ჩარევას უთანაბრდება. სადავო ნორმით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახედის შეფარდება ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა იყოს შესაძლებელი“.⁷⁵

ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისაგან დისტანცირებისა და მოსამართლეთა შეხედულებებზე უმრავლესობის მხრიდან ზეგავლენის მოხდენის წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. შექმნის დღიდან, სასამართლო არაერთი წინააღმდეგობრივი, მაღალი პროფილის სახელმწიფო ქმედების კანონიერების შემოწმების წინაშე აღმოჩენილა, შესაბამისად

დანი ცაგურია და ჯაბა ჭიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. II – 66

74 იქვე, პარ. 68

75 იქვე, პარ. 69

მას საზოგადოების მხრიდან კრიტიკის მოსმენის ხანგრძლივი ისტორია გააჩნია.⁷⁶ ერთ-ერთი პირველი ასეთი შემთხვევა, ამერიკის შეერთებული შტატების 1819 წლის გადაწყვეტილებას უკავშირდება, იმასთან დაკავშირებით, გააჩნდა თუ არა კონგრესს ეროვნული საბანკო სისტემის შექმნის ძალაუფლება.⁷⁷ უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კითხვაზე გაცემულია დადებითმა პასუხმა მის მიმართ წლების მანძილზე გაგრძელებული საჯარო თავდასხმები გამოიწვია. სასამართლოს მიმართ კრიტიკა ისმოდა არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეების მხრიდან, არამედ იმ პოლიტიკოსებისგანაც, რომლებიც ფედერალური ძალაუფლების ფართო ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგებოდნენ. კრიტიკის ავტორთა შორის იყო ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი თომას ჯეფერსონიც, რომელმაც სასამართლოს „შეუმჩნევლად მოქმედი მესანგრეებისა და დამნაღველების კორპუსი“ უწოდა, რომლებიც „განუწვეტილ მოქმედებენ საფარქვეშ, რათა ძირი გამოეთხარათ კონფედერაციული საწარმოებისათვის“.⁷⁸

ამერიკელი ფედერალური მოსამართლეები უვადოდ არიან დანიშნულნი და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ წარმოებს მათ წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესი, რომელიც კონგრესის ორივე პალატის მხარდაჭერას საჭიროებს. ასევე, დაუშვებელია მოსამართლეთა ხელფასის შემცირება მათი საქმიანობის პერიოდში. ამგვარი დაცვის პირობებში, ფედერალური მოსამართლეები თავიანთი სამოსამართლო საქმიანობის განმავლობაში მკაცრად აკონტროლებენ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის კონსტიტუციით განსაზღვრული სეპარაციის პრინციპს, მაშინაც კი, როდესაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საპასუხოდ, საზოგადოებისაგან მხოლოდ კრიტიკას ისმენენ.⁷⁹ ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსამართლეთა უზრუნველყოფა სათანადო გარანტიებით ხელს უწყობს მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის ზრდას. საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ რთული მისაღწევია და ხშირად საკმაოდ მყიდვე, იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ მოსამართლეები თავიანთი გადაწყვეტილებებით ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

წინამდებარე კვლევისათვის ჩატარებული ფოკუს ჯგუფის მონაწილე ადვოკატების, უნივერსიტეტისა და სასამართლოს წარმომადგენელთა

76 Hon. Marilyn L. Huff, *The Effects of Public Criticism of the Judiciary on Judicial Independence*, გვ. 1.
77 იხ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *McCulloch v. Maryland*, 17 U.S. 4 Wheat. 316 316 (1819).
78 იხ. თომას ჯეფერსონის წერილი თომას რისს, 1820 წლის 25 დეკემბერი.
79 Hon. Marilyn L. Huff, *The Effects of Public Criticism of the Judiciary on Judicial Independence*, გვ. 2.

ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ სასამართლოს კრიტიკა აუცილებელია, იმდენად რამდენადაც სწორედ ეს არის დემოკრატიული საზოგადოების საზომი და ამავე დროს, დამხმარე საშუალება თავად სასამართლოსათვის, აღმოაჩინოს ის გამოწვევები და პრობლემური საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. თუმცა რეგიონებში, რესპონდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მოსამართლეთა კრიტიკამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაზე. პროფესიული წრის წარმომადგენელთა ამ ჯგუფის ნაწილის განცხადებით, კრიტიკამ, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაძლოა, მიკერძოებული გახადოს, რაც საბოლოოდ უარყოფითად აისახება კრიტიკის ავტორზე. რესპონდენტთა ეს ნაწილი, მოსამართლის პიროვნულ კრიტიკასა და მისი გადაწყვეტილების კრიტიკას, განსხვავებულად განიხილავს. ეს, შესაძლოა, იმითაც აიხსნას, რომ შედარებით პატარა რეგიონებში, სადაც უფრო მჭიდროა სოციალური/ნათესაური კავშირი მოსამართლეებსა და ადვოკატებს/იურიდიული სფეროს სხვა წარმომადგენლებს შორის, შედარებით უფრო მყიდვეა ის ზღვარი, რომელიც პიროვნების, როგორც მოსამართლის საქმიანობიდან გამომდინარე კრიტიკასა და ამავე პიროვნების, როგორც რიგითი მოქალაქის კრიტიკას შორის, გადის.

ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ გარდა საკანონმდებლო მოწესრიგებისა, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლის დისტანცირებასა და დამოუკიდებლობას, მნიშვნელოვანია თავად მოსამართლეებმა გაიაზრონ საკუთარი როლი საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების წარმართვაში, მათი კერძო ინტერესების დაცვასა და სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებლად ჩარევის აღმოფხვრაში. მართალია, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა შეზღუდვის დეგიტომური საფუძველია, თუმცა მხოლოდ კანონმდებლობის გამკაცრებით ამ მიზნის მიღწევა საზოგადოებაში სასამართლოს მიმართ შიშს უფრო გააჩენს, ვიდრე ნდობას.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის მოტივით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით მისი მიდგომა ყოველთვის ერთგვაროვანი არ ყოფილა. ქრონოლოგიურად, Handyside-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან მხოლოდ ათი წლის შემდეგ მიიღო ევროპულმა სასამართლომ პირველი გადაწყვეტილება

მოსამართლეთა კრიტიკის ფაქტზე,⁸⁰ რასაც შემდგომში ნედ-ნელა მოჰყვა სხვა გადაწყვეტილებებიც.⁸¹

სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა და მართლმსაჯულების განმახორციელებელი შტოს ავტორიტეტის შენარჩუნება მრავალმხრივი შინაარსის მატარებელი ცნებებია, რის გამოც, დავის გადაწყვეტის პროცესში ევროპული სასამართლოსაგან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლებზე მსჯელობას მოითხოვს.⁸² კვლევის მოცულობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში კონვენციის მხოლოდ ერთ, მე-10 მუხლთან დაკავშირებულ პრაქტიკაზე გვექნება მსჯელობა.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, გამოხატვის თავისუფლების შემლუღვა არ იქნება კონვენციასთან წინააღმდეგობაში, თუ შემლუღვა: განსაზღვრულია კანონით, ემსახურება კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევას და ამგვარი ჩარევა აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საფუძვლებს შორის ერთ-ერთია **მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება**⁸³. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმის განსაზღვრა, თუ რას გულისხმობს ევროპული სასამართლო მართლმსაჯულების ავტორიტეტში, სხვადასხვა დროს მიღებული გადაწყვეტილებების გაერთიანებით არის შესაძლებელი. ფართო გაგებით, ტერმინი მოიცავს როგორც, „*სახელმწიფო პროკურორებს [რომლებიც] საჭარო მოხედვები არიან და მათი დავალებაა წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების ჯეროვან განხორციელებაში,*“⁸⁴ ასევე, კდერკებსა და მოსამართლეებს⁸⁵. ტერმინის მოცულობისა და შინაარსის განსაზღვრის

80 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე – Barfod v. Denmark.

81 მაგ: ადამიანის უფლებათა ევროპული 1997 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე – De Haes and Gijssels v. Belgium.

82 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის სემინარის დოკუმენტი (თემაზე – სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი), გვ. 3.

83 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომლის მე-19 მუხლიც შინაარსობრივად ახლოს დგას ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან ამგვარ შემლუღვას არ ითვალისწინებს.

84 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Lesnik v. Slovakia პარ. 54.

85 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1986 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Prince v. the United Kingdom.

პროცესში საკუთარი როლი შეასრულა Sunday Times-ის საქმემ, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „ტერმინი „მართლმსაჯულება“ აერთიანებს მართლმსაჯულების მექანიზმს ან ხელისუფლების სასამართლო შტოს, ისევე როგორც მოსამართლეებს, თავიანთი საქმიანობის ფარგლებში⁸⁶“. ყველაზე ახალი განმარტებით, რომელიც სასამართლომ „მართლმსაჯულების ავტორიტეტთან“ დაკავშირებით გააკეთა, პრაქტიკაში გულისხმობს იმას, რომ სასამართლოები არიან, და საზოგადოების ფართო ჯგუფების მიერ ასეთად არიან აღიარებულნი, შესაფერისი ფორუმები სამართლებრივი დავების გადასაწყვეტად და იმის განსასაზღვრად პირი დამნაშავეა თუ არა სისხლისსამართლებრივ დანაშაულში; ამასთანავე, ზოგადად საზოგადოებას გააჩნია პატივისცემა და რწმენა იმისა, რომ სასამართლოები თავიანთი საქმიანობის ფარგლებში შეასრულებენ საკუთარ ფუნქციას.⁸⁷

კვლევის ფარგლებში მოძიებული და განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განხილულ საქმეებში მთავრობის მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლებად სწორედ საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების მიმართ პატივისცემისა და რწმენის შენარჩუნება, პროცესის გამართლად წარმართვა სახელდება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ საქმეებში, რომელიც შინაარსობრივად არის განხილული,⁸⁸ გადაწყვეტილება ე.წ. სამწვეროვანი ტესტის ბოლო – „*დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი*“, ეტაპზე, პროპორციულობის ნაწილში მიიღება.⁸⁹

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს მიდგომა სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკის ნაწილში ყოველთვის ერთგვაროვანი არ ყოფილა, თუ თავდაპირველ გადაწყვეტილებებში სასამართლო უფრო მეტად მართლმსაჯულების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისაკენ იხრებოდა, დროთა განმავლობაში ტენდენცია გამოხატვის თავისუფლების დაცვის სასიკეთოდ შეიცვალა.

86 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1979 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, Sunday Times v. the United Kingdom (no.1) პარ. 55.

87 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 129.

88 Cases on merits.

89 David Kosar, Freedom of Speech and Permissible Degree of Criticism of Judges, Central European University, Budapest, Hungary 2007, გვ.19

პრაქტიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შემღვდვას სასამართლო ხელისუფლების პასუხის გაცემის უნარის არქონით ხსნიდა, კერძოდ, Prager and Oberschick-ის საქმეში სასამართლომ დაადგინა: „*მხედველობაში უნდა მივიღოთ მართლმსაჯულების განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში. როგორც სამართლიანობის გარანტორმა, ფუნდამენტურმა ღირებულებამ სამართლიან სახელმწიფოში, უნდა ისარგებლოს ხალხის ნდობით, თუ მას სურს იყოს წარმატებული საკუთარი ვადლებულებების შესრულებაში. ამ ყველაფერმა შესაძლოა გაამართლოს დამაჯერებლობის დაცვა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დესტრუქციული თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კრიტიკის ობიექტი მოსამართლეები, თავიანთი დისკრეციის ფარგლებში, მოკლებულნი არიან საპასუხო განცხადებების გაცემების შესაძლებლობას*“.⁹⁰

გამოთქმული კრიტიკის საპირისპირო განცხადებების გაცემების უნარობასა და შეუფერებლობაზე მიუთითა სასამართლომ Buscemi-ის საქმეშიც. სასამართლოს შეფასებით: „*მოსამართლეებისაგან მოითხოვება საქმიანობის მაქსიმალურად დამოუკიდებლად განხორციელება იმ საქმეების პირობებში, რომელსაც იხილავენ, რათა დაიცვან საკუთარი სტატუსი, როგორც მიუკერძოებელი მოსამართლეებმა. საკუთარი უფლება-მოხილება მოსამართლეებს ზღუდავს პრესის გამოყენებისაგან, მაშინაც კი, როდესაც მათი პროვოცირება ხდება. ასეთია მართლმსაჯულების მოთხოვნა და ამალღებული ბუნება თავად სასამართლო ხელისუფლებისა, რომელიც აწესებს ამგვარ ვადლებულებებს*“.⁹¹

თუმცა, ვგროპული სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, მოსამართლეები მოკლებულნი არიან საკუთარი აზრის გამოთქმის ყოველგვარ შესაძლებლობას. „*თუ საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია ხელისუფლების სხვა შტოს ან მისი კონკრეტული წევრის ვაკრიტიკება გადანყვეტილების მიღებისას, სასამართლომ თავი არ უნდა შეიკავოს [...] სასამართლოებმა შესაძლოა გააკრიტიკონ კანონმდებლობა ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ იმ კანონმდებლობის არმიღება, რომელსაც სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევდა. თუმცა, როგორც ხელისუფლების სხვა შტოების შემთხვევაში, სასამართლო სისტე-*

90 ადამიანის უფლებათა ვგროპული სასამართლოს 1995 წლის 26 აპრილის გადანყვეტილება საქმეზე Prager and Oberschlick v. Austria, პარ. 34.

91 ადამიანის უფლებათა ვგროპული სასამართლოს 1999 წლის 16 სექტემბრის გადანყვეტილება საქმეზე Buscemi v. Italy, პარ. 67.

მასთან დაკავშირებითაც, სასამართლო სისტემის მხრიდან კრიტიკა უნდა მომდინარეობდეს ურთიერთნდობის გარეშე. მოსამართლეებს, ყველა სხვა მოქალაქის მსგავსად, აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საჯარო განხილვებში, იმ პირობით, თუ იგი შესაბამეობა მათი დამოუკიდებლობის ან მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. სასამართლომ არასოდეს უნდა წაახადოს და უზომო რიგებობა და უპატივცემულობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიმართ“.⁹²

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ 2015 წელს მომზადებული №18 დასკვნის მიხედვით, „ცადკეუდმა სასამართლოებმა და მთლიანად სასამართლო სისტემამ უნდა იმსჯელონ ასეთ კრიტიკაზე რეაგირების გზებზე. ხშირად, მოსამართლეები, რომლებზეც მიიტანეს იერიში, ვრიდებიან თავის დაცვას (ვანსაკუთრებით, მიმდინარე სამართალწარმოების შემთხვევაში) იმისათვის, რათა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა და წარმოაჩინონ, რომ ინარჩუნებენ მიუკერძოებლობას. ზოგიერთ ქვეყანაში, მოსამართლეებს ასეთ შემთხვევაში დახმარებას უწევს სასამართლო საბჭოები ან უზენაესი სასამართლო. მათ მიერ მომზადებული პასუხები შეიძლება დაეხმაროს კონკრეტულ მოსამართლეს შემოქმედების დაძლევაში“.⁹³

აღნიშნული დასკვნის მსგავსად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებიც მიიჩნევენ, რომ მოსამართლეთა კრიტიკის საპასუხოდ, სასამართლო სისტემას საკუთარი პოზიციის გამოხატვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. რესპონდენტთა ერთი ნაწილის აზრით, ეს, შესაძლოა, თავად მოსამართლეებმა გააკეთონ, ხოლო მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ ეს სასამართლოს სპეციალური სამსახურების კომპეტენციაა.

გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ, მოსამართლეების მიერ განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით, ევროპის მასშტაბით მოქმედი მოსამართლეთა ქცევის მრავალი კოდექსის მსგავსად, ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეთა ქცევის კოდექსიც ადგენს, რომ, „*მოსამართლეებმა საჯაროდ არ უნდა გააკეთონ კომენტარი მიმდინარე ან მოახლოებული საქმის არსებით საკითხებთან დაკავშირებით*“.⁹⁴

92 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (ემსს) დასკვნა N 18 (2015), დონდონი, 2015 წლის 16 ოქტომბერი, პარ. 42

93 იქვე, პარ. 53

94 ამერიკის შეერთებული შტატების მოსამართლეთა ქცევის კოდექსი Canon 3(A)(6).

რა თქმა უნდა, მოსამართლეთა უპირველესი დანიშნულება მათ წინაშე არსებული დავების განხილვაა. სწორედ ამ გზით მოიპოვებენ ისინი საზოგადოების ნდობას და როდესაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოდან მომდინარე კრიტიკისაგან მოსამართლეთა დაცვის საკითხი აქტუალური ხდება, ერთ-ერთი პირველი ჯგუფი, ვისაც ამ დაცვის შეთავაზება შეუძლია, სწორედ სასამართლო სერვისის ძირითადი ბენეფიციარები – მოქალაქეები არიან. ხოლო, რაც შეეხება საზოგადოებასა და სასამართლოს შორის კომუნიკაციას, სპიკერ-მოსამართლეები და იუსტიციის საბჭოები, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს უწყობენ ამ ორ მხარეს შორის კომუნიკაციის წარმართვას მათთვის საჭირო თემებზე. სწორედ ამ ორგანოთა მეშვეობით არის შესაძლებელი კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა სასამართლო ხელისუფლებასა და მისი საქმიანობის კრიტიკოსებს შორის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც მხედველობაში მიიღება მოსამართლეთა კრიტიკის დასაშვები ზღვრის დადგენისას, არის ის, თუ რა ადგილს იკავებენ მოსამართლეები თმენის მაღალი ვადებულების მქონე პირთა სიაში. Lingens-ის საქმეში⁹⁵ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, „დასაშვები კრიტიკის ზღვარი უფრო მაღალია პოლიტიკოსების შემთხვევაში, ვიდრე რიგითი მოქალაქეების შემთხვევაში. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, პირველებს გარდაუვლად და ვაცნობიერებულად ჰყავთ საკუთარი თავი ჩაყენებული ჟურნალისტების და, მოვადედ, საზოგადოების მხრიდან მკაცრი დაკვირვების ქვეშ. შესაბამისად, ტოლერანტობის უფრო მაღალი ხარისხი უნდა გამოავლინონ. ყოველგვარი კამათის გარეშე, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ სხვათა რეპუტაცია – და უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინდივიდის – იყოს დაცული. ეს დაცვა ვრცელდება პილიტიკოსებზეც, მათ შორის, მაშინაც კი, როდესაც საკუთარი პირადი კომპეტენციის ფარგლებში არ მოქმედებენ. თუმცა, მსგავს შემთხვევებში, გემოხსენებელი დაცვის მოთხოვნები უნდა შეიწონოს პოლიტიკურ საკითხზე ღია დებატის ინტერესის საპირწონედ“.⁹⁶ აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ვრცელი განმარტება გაკეთდა Castells-ის საქმეში⁹⁷ – „დასაშვები

95 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Lingens v. Austria, პარ. 42.

96 იქვე, პარ. 42. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Dupuis and Others v. France პარ. 40

97 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1992 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Castells v. Spain.

კრიტიკის მღვარი უფრო ფართო სახელმწიფოსთან მიმართებით, ვიდრე ცადველი მოქალაქის, ან სურაც პოლიტიკოსის შემთხვევაში. დემოკრატიულ სისტემაში სახელმწიფოს აქტივობები ან ცდომილებები უნდა ვახდეს მკაცრი შეფასების საგანი არა მხოლოდ საკანონმდებლო ან სამოსამართლო ხელისუფლების მხრიდან, არამედ პრესის და სამოგაქმობისთვისაც.⁹⁸ შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასაშვები კრიტიკის „სკალის“ ერთ ბოლოში სახელმწიფო ინსტიტუტები და პოლიტიკოსები იმყოფებიან, ხოლო მეორე მხარეს რიგითი მოქალაქეები. ამ ორ უკიდურეს პოლუსს შორის არსებულ პირთა იერარქიაზე კი მკაფიო განმარტება Morice-ისა და Peruzzi-ს საქმეებამდე თითქმის არ ყოფილა. ხსენებულ საქმეებში სასამართლომ მიერ გაცემებული განმარტებების მიხედვით, მოსამართლეები, „თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში, შესაძლოა დაექვემდებარონ უფრო ფართო დასაშვებ კრიტიკას, ვიდრე რიგითი მოქალაქეები“.⁹⁹ „თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ საჯარო მოხელეები, რომლებიც წინასწარი შეგნებით ასაჯაროებენ ყოველ თავიანთ სიტყვასა და მოქმედებას მკაცრი დაკვირვებისათვის, მას იმავე მოცულობით აკეთებენ, როგორც პოლიტიკოსები და შესაბამისად, ისეთივე მოპყრობას უნდა დაექვემდებარონ, როგორც ეს უკანასკნელი, როდესაც საქმე მათი ქმედებების კრიტიკას ეხება“.¹⁰⁰

მართლმსაჯულების გამჭვირვადე და ღია განხორციელება საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ინტერესია., სასამართლო დარბაზში მიღებული გადაწყვეტილების მიმართ ინტერესი გააჩნია როგორც უშუალოდ დავის მხარეებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ადამიანებს, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებს, მედიას და რიგ შემთხვევაში პოლიტიკოსებსაც, ისევე როგორც სხვა მოსამართლეებს. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ შესაძლოა კრიტიკის ობიექტი იყოს განსხვავებული – კონკრეტული მოსამართლე/გადაწყვეტილება ან მთლიანად სასამართლო ხელისუფლება, ასევე განსხვავებული შეიძლება იყოს კრიტიკის ავტორიც – რიგითი მოქალაქე, დავის მხარე, საინფორმაციო საშუალებები და რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება, პოლიტიკოსები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახეზეა არა მხოლოდ კრიტიკული/შეურაცხამყოფელი გამოხატვა, არამედ

98 იქვე, პარ. 46.

99 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 131.

100 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Peruzzi v. Italy, პარ. 52.

პოლიტიკური გამოხატვა, რაც თავის მხრივ დაცვის განსაკუთრებული ხარისხით სარგებლობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ პოლიტიკოსების მხრიდან გავრცელებული განცხადებები ატარებს პოლიტიკურ შინაარსს, არამედ მთლიანად სასამართლო პროცესი შეიძლება იყოს პოლიტიკური ინტერესის ობიექტი. შესაძლოა, პოლიტიკური შინაარსი საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაში არ იკვეთებოდეს, მაგრამ თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის გავლენას ახდენენ ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, ვინაიდან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, გადასინჯავენ რა ცადკეული საკანონმდებლო ნორმების შესაბამისობას ქვეყნის კონსტიტუციასთან, ასრულებენ ნეგატიური კანონმდებლის როლს – მიუთითებენ პარლამენტარებს შეიტანონ ცვლილებები ან სხვაგვარად გარდაქმნან საკანონმდებლო ბაზა¹⁰¹. აღნიშნულის გათვალისწინებით, კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებლად შეზღუდვის რისკები.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის პარადიგმად, თმენის ვადლებულების მქონე საჯარო მოხელეებსა და გამოხატვის თავისუფლების განსხვავებული ხარისხით დაცვაზე მსჯელობისას, საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების უმენაესი სასამართლოს მიდგომა. ამერიკის შეერთებული შტატების უმენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პოლიტიკური გამოხატვა დაცვის ყველაზე მაღალი ხარისხით სარგებლობს, მას შემდეგ მოჰყვება რელიგიური, მეცნიერული, სოციალური გამოხატვა, შემდეგ საფეხურზე წარმოდგენილია კომერციული გამოხატვა, რომლის შემდგომ ადგილსაც იკავებს ცილისმწამებლური გამოხატვა, შემდეგ არანესიერი, არაუხამსი, ე.წ მოზრდილთა გამოხატვა და იერარქიის ყველაზე დაბად საფეხურზე ექცევა უხამსობა, ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მშვიდობისთვის ან საკუთრებისთვის საფრთხის შემქმნელი გამოხატვა.¹⁰²

101 საკონსტიტუციო სასამართლოს როლზე და მოსამართლეების დაცვაზე, მათი როლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი განამრტებები გააკეთა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2004 წლის 20 აპრილს საქმეზე Amihalachioaie v. Moldova. საქმეში სასამართლო უფრო მეტად გამოხატვის თავისუფლების დაცვისაკენ გადაიხარა და მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა.

102 ოქრუაშვილი მ.; კოტეტიშვილი ი.; გამოხატვის თავისუფლება, პირველი ტომი, გამოხატვის თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ვარი I, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, გვ 23.

ხოლო, რაც შეეხება თმენის ვადდებულების ხარისხს, იგი, იმის მიხედვით განისაზღვრება, განცხადების ადრესატი ექცევა თუ არა „საჯარო პირის“ ცნების ფარგლებში.

ხოლო ის თუ როგორ განისაზღვრება „საჯარო პირის“ ცნება, კარგად ჩანს აშშ-ს ალაბამას შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკის ფონზე.

ცილისმწამებლური განცხადებების საფუძველზე დაწყებული დავებში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია Sullivan-ის საქმეს. სასამართლოს შეფასებით, საჯარო მოხელეები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ ცილისმწამებლური განცხადებებით მიყენებულ ზიანის ანაზღაურებას, თუ დაამტკიცებდნენ, რომ განცხადება გავეთებული იყო „*რეალური ბოროტი განზრახვით*“, რაც შესაძლებელია მაშინ, როდესაც განმცხადებელმა (ა) იცის, რომ მისი განცხადება არის სიცრუე ან ბ) უხეშად არ ითვალისწინებს სიცრუეა თუ არა მისი განცხადება.¹⁰³ მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა არა განცხადების ავტორს, არამედ მას, ვის მიმართაც იქნა ცილისმწამებლური განცხადება გავეთებული. Sullivan-ის საქმეში დადგენილი სტანდარტი, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო დავებსა და საჯარო მოხელეებს შეეხებოდა, მალევე გავრცელდა სისხლისსამართლებრივ დავებზე¹⁰⁴, საჯარო თანამდებობის დაკავების მსურველ კანდიდატებსა¹⁰⁵ და საჯარო ფიგურებზე¹⁰⁶. „*საჯარო ფიგურის*“ ცნება აერთიანებს ყველა იმ პირს, განურჩევლად მათი პროფესიული საქმიანობისა, რომელსაც გავდენა შეიძლება ჰქონდეს საჯარო პოლიტიკის განსაზღვრაზე ან პოლიტიკურ დებატზე.

103 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).

104 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Garrison v. Louisiana, 379 U.S. 64 (1964).

105 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Monitor Patriot Co. v. Roy, 401 U.S. 265 (1971). აქვე უნდა აღინიშნოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Rosenblatt v. Baer. სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოხელეების ცნება არ აერთიანებს ყველა საჯარო სამსახურში დასაქმებულს, არამედ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებთ. აღნიშნული ტერმინი „მიემართება სახელმწიფოს მიერ დასაქმებულ იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ, ან საზოგადოება მიიჩნევს რომ გააჩნიათ, სახელმწიფო საქმიანობის კონტროლის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა“.

106 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Curtis Pub. Co. v. Butts, 388 U.S. 130 (1967).

ყოველივე ზემოთხსენებულს კი ღოგოვანად გამომდინარეობს რომ „საჯარო ფიგურის“ დეფინიციის ჯგუფიან მოსამართლეებიც და მათ მიმართ გამოთქმული კრიტიკის დასაშვები ზღვარიც უფრო მარტივად გამოვსადაია. ამ პოზიციას Sullivan-ისა¹⁰⁷ და Landmark Communications-ის¹⁰⁸ საქმეებში გაკეთებული განმარტებებიც ამყარებს.

სასამართლო სისტემისაკენ მიმართული გამოხატვის მაღალი სტანდარტით დაცვას განაპირობებს ისიც, რომ ამგვარი გამოხატვა „პოლიტიკურ გამოხატვა“ მიიჩნევა,¹⁰⁹ შესაბამისად, როდესაც გამოხატვის ავტორი გარეშე პირია (არაიურისტია), იგი აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობს. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს შეზღუდოს რიგითი მოქალაქეების ან ჟურნალისტების გამოხატვა სამართლიანი სისხლისსამართლის პროცესის უზრუნველყოფის, ან მართლმსაჯულების აღმინისტრირებაში ჩარევის თავიდან არიდების მიზნით, პირველი შესწორების დოქტრინა მაღალ მოთხოვნებს აწესებს.

სასამართლოს მიმართ კრიტიკული განცხადებების ავტორებზე მსჯელობისას, ცალკე უნდა გამოიყოს ის საქმეები, სადაც სადავოდ გამხდარი გამოწვევები ადვოკატებს ეკუთვნოდა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ადვოკატებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება/შენარჩუნების საკითხში. Kyprianou-ს საქმეში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ადვოკატთა განსაკუთრებული სტატუსი მათ ცენტრალურ როლს ანიჭებს მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის. ამგვარი პოზიცია ხსნის იმ სტანდარტულ შეზღუდვებს, რომლებიც ასოციაციის წევრებს აკისრიათ. ამ სფეროში ადვოკატების საკვანძო როლის გათვალისწინებით,

107 New York Times Co. v. Sullivan. Syllabus, 1963. „როდესაც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ჩართულნი, სასამართლომ უკვე განმარტა, რომ სასამართლოთა ღირსებისა და რეპუტაციის დაცვაზე ზრუნვა ვერ გაამართლებს მოსამართლეთა ან მათი გადაწყვეტილებების კრიტიკის სისხლისსამართლებრივ დასჯას ... ამგვარი რეპრესია მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამართლებული, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, თუ სახეზეა აშკარა და მყისიერი საფრთხე მართლმსაჯულების ჩაშლისა“ 254, 272-273.

108 Landmark Communications, Inc. v. Virginia, Syllabus, 1978 „სამართალი მოსამართლეებს როგორც ინდივიდებს, ან სასამართლოებს როგორც ინსტიტუტებს, ვერ უზრუნველყოფს იმაზე უფრო დიდი იმუნუტეტი კრიტიკისაგან დასაცავად, ვიდრე სხვა ინდივიდებსა და ინსტიტუტებს. სასამართლოთა საქმიანობა და მოსამართლეთა სამართლებრივი ქცევა წარმოადგენს საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესის სფეროს“. 829, 839.

109 Rodney A. Smolla, Regulating the Speech of Judges and Lawyers: The First Amendment and the Soul of the Profession, February 2015.

ღეგეტიმიურია მართლმსაჯულების გამართულად მოქმედებისათვის მათი მხრიდან სათანადო კონტრიბუციის განხორციელების მოლოდინი და შესაბამისად, საზოგადოების ნდობის შენარჩუნებამე მრუნვა“¹¹⁰

კიდევ უფრო კრიტიკული იყო სასამართლო ადვოკატების მიმართ თავის ადრეულ გადაწყვეტილებებში. საკმაოდ მკაცრ, და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისაკენ მიმართული მაგალითია Wingerter v. Germany¹¹¹, სადაც სასამართლომ განმცხადებლის მიერ მანჰეიმის სასამართლოს კონსტიტუციის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება ვეროპული კონვენციის 9-10 მუხლით დაკრულ გამოხატვად არ ჩათვალა და Meister-ის¹¹²; W.R-ისა¹¹³ და Mahler-ის¹¹⁴ საქმეებს შეადარა.

თუმცა ეს ყველაფერი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ადვოკატები საერთოდ არ სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. ადვოკატებს მინიჭებული აქვთ უფლება საჯაროდ გააკეთონ კომენტარები მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს. ამ საზღვრებს ადვოკატებისათვის ძირითადად პროფესიული ქცევის პრინციპები განსაზღვრავენ, რომლებიც მითითებას აკეთებენ „ღირსებაზე“, „პატივზე“, „პატიოსნებაზე“ და „მართლმსაჯულების განხორციელების პატივისცემაზე“. ამგვარი პრინციპების არსებობა კი თავის მხრივ ხელს უწყობს მთლიანად

110 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Kyprianou v. Cyprus, პაწ. 173.

111 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Wingerter v. Germany, დაუშვებლად იქნა ცნობილი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე.

112 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1997 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Meister v. Germany, დაუშვებლად იქნა ცნობილი ევროპული კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. სასამართლომ ადვოკატის მიერ მოსამართლეებისა და სხვა პირების მიმართ გამოთქმული შეურაცხყოფილი გამონათქვამების შეზღუდვა არ მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად. განმცხადებლის პოზიციით, მოსამართლეებმა ისევე როგორც სხვა პირებმა იმოქმედეს სასამართლო პროცესისა და კონტექსტის შეუსაბამოდ.

113 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1997 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე W.R v. Austria, განმცხადებლის სანივარის ნაწილი დაუშვებლად ცნო. განმცხადებლის მიერ მოსამართლის მოსაზრებების „სასაცილოდ“ მიჩნევა არ ჩათვალა კონვენციის მე-10 მუხლით დაკრულ გამოხატვად.

114 ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1998 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Mahler v. Germany, დაუშვებლად ცნო. აპლიკანტის განცხადებით, პროკურორმა სამართალდარღვევის ოქმი „სრული ინტელსიკაციის მდგომარეობაში მყოფმა“ შეადგინა, რაც ასევე არ ჩათვალა კონვენციის მე-10 მუხლით დაკრულ გამოხატვად.

მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებას და იცავს მას დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან.¹¹⁵

გემოხსენებელი მაგალითებისაგან განსახვავებული პოზიცია დააფიქსირა ევროსსასამართლო Amihalachioaie v. Moldova¹¹⁶ -ს საქმეში, სადაც განმცხადებელი გარდა იმისა, რომ თავად იყო ადვოკატი, ამავდროულად წარმოადგენდა მოდლოვის ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს, რომლის შეურაცხმყოფელი განცხადებები დაკავშირებული იყო პროფესიული ორგანიზაციის საქმიანობასთან, რომლის წევრობის სავადდებულობასაც მოდლოვის საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებდა. ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილდა არა უშუალოდ განმცხადებლის იურისტობაზე, არამედ მის არჩევით წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე. შესაბამისად, კრიტიკის ავტორთა ნაწილში ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შესაძლოა მოუღონებდა და არათანმიმდევრულად ჩაითვალოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ, ამ მიმართებით მიღებულ ერთ-ერთ ბოლო საქმეში – Ottan v. France¹¹⁷, კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების დარღვევად მიიჩნია სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატისათვის, სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზთან მსაჯულთა მისამართით გაკეთებული განცხადებისთვის – *„ვიცოდი, რომ ეს მოსადრინელი იყო. ნაფიც მსაჯულებისაგან ყველა თეთრკანიანია და ისინი არ წარმოადგენენ საზოგადოების ყველა ჯგუფს..., გამამართლებელი ვერდიქტისათვის კარი ღია იყო, ეს არ ყოფილა სიურპრიზი;“* დისციპლინური სანქციის, კერძოდ, გაფრთხილების დაკისრება. სტრასბურგის სასამართლომ, განსხვავებით ეროვნული სასამართლოსაგან, აპლიკანტის გემოხსენებელი განსხვავება, რასობრივ ნიადაგზე გაკეთებულ შეფასებად არ მიიჩნია. სასამართლოს თქმით, განმცხადებლის პოზიცია იყო ფართოდ აღიარებული შეხედულება, რომ მოსამართლეთა მიუკერძოებლობა, იქნებიან პროფესიონალი თუ ნაფიცი მსაჯულები, არის ღირებულება, რომელიც არ არსებობს ვაკუუმში, არამედ ეს არის შედეგი იმ მნიშვნელოვანი ძალისხმევისა, რომელიც მიმართულია თუნდაც არაცნობიერი მიკერძოების ამოძირკვისაკენ,

115 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 134.

116 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Amihalachioaie v. Moldova.

117 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Ottan v. France.

რომელმაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა იარსებოს გეოგრაფიული ან სოციალური კუთვნილებიდან გამომდინარე და რომელმაც შესაძლოა შემდგომში ადამიანებში გააჩინოს იმის შიში, რომ ისინი არასწორად აღიქმებიან.¹¹⁸

აღნიშნული საქმე კიდევ ორი გარემოების გათვალისწინებით არის საინტერესო, კერძოდ:

ა. იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიცი მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები თანაბრად მსჯელობენ გადანწყვეტილებისა და სანქციის შესახებ, სასამართლო მიიჩნევს, რომ დასაშვები კრიტიკის მღვარი ნაფიცი მსაჯულების შემთხვევაში, როდესაც ისინი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის განხილვაში მონაწილეობენ, იდენტურია იმ მღვრისა, რომელიც მოსამართლეების შემთხვევაში გამოიყენება (იხ. *Morice-ის საქმე*, § 128 და 168). შესაბამისად, წინამდებარე საქმეში, ის ფაქტი, რომ განცემხადებელმა საკუთარ შეფასებაში მხოლოდ მსაჯულები ახსენა, არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ხელისუფლების კრიტიკის უფლებამ შემოხსენებულ მღვარს გადააჭარბა.¹¹⁹

ბ. სასამართლომ სრულად გაიზიარა *Morice-ის საქმეში* ჩამოყალიბებული მიდგომა სასამართლოს სხდომის დარბაზში და მის მიღმა გამოხატვის თავისუფლების დაცვის განსხვავებულ სტანდარტთან დაკავშირებით. „სასამართლოს სხდომის დარბაზში“ მოსამართლის გამოხატვა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს კლიენტის სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, ამრიგად, სამართლიანობის პრინციპი მხარეთა შორის არგუმენტების გაცვლის თავისუფალი და, ხშირად, მძლავრი მანერის დაცვისაკენ იხრება (იხ. *Nikula -ს საქმე* § 49, და *Steur-ის საქმე* § 37). ადვოკატებს აკისრიათ ვადლებულება, „გუდმოღგინედ დაიცვან თავიანთი კლიენტების ინტერესები“ (იხ. *Nikula -ს საქმე*, § 54), რაც გულისხმობს, რომ რაც შემთხვევებში, მათ უნდა გადანწყვიტონ, ღირს თუ არა სასამართლოს ქმედებაზე უკმაყოფილების გამოხატვა (იხ. *Kyprianou -ს საქმე*, § 175)“.

რაც შეეხება სხდომის დარბაზის მიღმა გაკეთებულ კომენტარებს, სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კლიენტის ინტერესების დაცვის მოტივიდან გამომდინარე, ადვოკატები, შესაძლოა, გამოჩნდნენ სატელევიზიო ეთერებში, ან გააკეთონ განცხადება პრესაში და ამ არხების

118 იქვე, პარ. 64.

119 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის გადანწყვეტილება საქმეზე *Ottan v. France*, პარ. 71.

გამოყენებით ინფორმაცია მიაწოდონ სამოგადღობას იმ ხარვეზების შესახებ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს წინასასამართლო პროცესებს (იხ. Mor -ს საქმე, § 59). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ შეუძლებელია დადგეს ადვოკატის პასუხისმგებლობის საკითხი ყველაფერზე, რაც იბეჭდება „*ინტერვიუს*“ ფორმით, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მედია ცვლის განცხადებებს და ადვოკატი უარყოფს მსგავსი ფრაზების გამოყენების ფაქტს (იხ. Amihalachioaie -ს საქმე, § 37). ანალოგიურად, მედიის მიერ საქმის ფართოდ გაშუქების შემთხვევაში, მასში არსებული ფაქტების სერიოზულობისა და მონაწილე პირების გათვალისწინებით, ადვოკატს არ შეიძლება სანქცია დაეკისროს საგამოძიებო საიდუმლოების გამჟღავნებისათვის, მაშინ როდესაც მან მხოლოდ პირადი კომენტარი გააკეთა იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ისედაც ცნობილი იყო ჟურნალისტებისათვის და რომლის გაშუქებასაც ისინი ადვოკატის კომენტარის გარეშეც აპირებდნენ.¹²⁰

საბოლოო ჯამში, ადვოკატების მიერ გავრცელებული განცხადებების შეფასებებისას სასამართლო მხედველობაში იღებს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემდეგ გარემოებებს:

- ა. *განმცხადებლის, როგორც იურისტის სტატუსი;*
- ბ. *საჯარო ინტერესის საგნად ქცეულ დებატში შეტანილი კონტრიბუცია;*
- გ. *გაკვეთილი განცხადებების ბუნება;*
- დ. *საქმისათვის დამახასიათებელი სპეციფიური გარემოებები;*
- ე. *დანესებული სანქცია;*

გამოხატვის თავისუფლების შემლუღვასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ, როგორც Otton-ის, ასევე Morice-ის საქმეებში, მიუთითა, რომ „*განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული სასჯელი ყველაზე მსუბუქი იყო დისკვილინური სამართაღწერის პირობებში – „მხოლოდ ... გაფრთხილება“ საკასაციო სასამართლოს შეფასებით. ამის მიუხედავად, ეს არ ყოფილა ტრივიალური საკითხი ადვოკატისათვის და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოყენებული სანქცია შესაძლო ვარიანტებს შორის ყველაზე მსუბუქია, ეს თავისთავად ვერ გაამართლებს განმცხადებლის გამომხატვის თავისუფლებაში ჩარევას“ (იხ. Morice-ს საქმე, § 176)¹²¹*

120 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France. პარ. 138.

121 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Otton v. France, პარ. 73

„დაცვის მხარის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა – თუნდაც ყველაზე რღობიერი სისხლისსამართლებრივი სასჯელით, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ (იხ. Nikula-ს საქმე, § 55; Kyprianou-ს საქმე, § 174; and Mor-ს საქმე, § 44).¹²²

მიუხედავად მრავალი განსხვავებისა, რომელსაც ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს მიდგომებს შორის ვხვდებით, ამ ორ იურისდიქციას შორის, ასევე არსებობს მსგავსებაც, კერძოდ, ადვოკატებისა და მოსამართლეების გამოხატვის თავისუფლების მიმართ, სხვებთან შედარებით, მკაცრი დამოკიდებულება. ისევე როგორც ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამერიკის შეერთებული შტატების უმენაესი სასამართლოც მიიჩნევს, რომ ადვოკატებმა, მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებაში მათი განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავონ სასამართლო ხელისუფლების კრიტიკისაგან, ვინაიდან ამან, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობაზე, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატთა საქმიანობა მნიშვნელოვანწილად კონტროლდება პროფესიული ეთიკის კოდექსით, ისინი არაერთხელ დასჯიდან დისციპლინური წესით ისეთი განცხადებებისათვის, რომლებიც დახვდა მართლმსაჯულების პროცესის ღირსებას¹²³, ხელს უშლიდა მის გამართლად წარმართვას¹²⁴ ან ეჭვქვეშ აყენებდა სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას¹²⁵. ადვოკატთა დისციპლინური წესით დასჯას ჰქონდა ადგილი სხვადასხვა დროს ასევე ისეთი საფუძვლებით, როგორიცაა: სექსუალურ ან რასისტულ ნიადაგზე დისკრიმინაციაში მოსამართლეების უსაფუძვლო დადნაშუღება, მოსამართლეზე უსაფუძვლო თავდასხმა ან მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის დაუსაბუთებელი ბრალდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მთელ რიგ გადაწყვეტილებებში სასამართლოებმა ადვოკატების გამოხატვის თავისუფლებას მიანიჭეს უპირატესობა.

122 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Morice v. France*, პარ. 135.

123 პენსილვანიის უმენაესი სასამართლოს 1980 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე *COMMONWEALTH of Pennsylvania v. Donald Dwayne RUBRIGHT*

124 კონფლიქტის სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Notopoulos v. Statewide Grievance*.

125 აიდაჰოს უმენაესი სასამართლოს 1996 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *IDAHO STATE BAR v. TOPP*.

ამის მკაფიო მაგალითია Sawyer-ის საქმე¹²⁶, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატები თავისუფალი არიან სახელმწიფოს კანონმდებლობის კრიტიკაში“ და კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს ეთიკის კოდექსით მანამ, სანამ „არ აფერხებს მართლმსაჯულების აქტის მინისტრირებას.“ მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ უფრო გააფართოვა ხსენებული მიდგომა და ჯერ NAACP-ის¹²⁷ და შემდგომ Gentile-ის¹²⁸ საქმეებში აღნიშნა, რომ ერთი მხრივ დაუშვებელია პროფესიული გადაცდომის აკრძალვით შეინიღბოს კონსტიტუციური უფლების უგუდავოდ დაცვა, ხოლო მეორე მხრივ დაუშვებელია პირველი შესწორებით აღიარებული უფლებით სარგებლობის დასჯა, თუ არ არსებობს რეალური ზიანი, რომელიც უფლებას/ინტერესს მიაღდა.

შეიძლება ითქვას, რომ შეერთებულ შტატებში არსებული პირველი შესწორების დოქტრინა მარტივად უშვებს მოსამართლეებისა და ადვოკატების გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, როდესაც საქმე ეხება ფუნქციონალურ დასაბუთებას, კერძოდ, სამართალწარმოების პროცესში არასასურველი ჩარევის აღმოფხვრას. როდესაც რეგულაციის მიზანია სასამართლო დარბაზში ადვოკატის გამომხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ან როდესაც მოსამართლე ამხელს ადვოკატს სასამართლო პროცესის ჩაშლის მცდელობაში, კონსტიტუცია ამგვარი გამომხატვის მიმართ ვერ იქნება ისეთივე ღმობიერი, როგორიც ეს ზოგადად იდებოდა ბაზრის შემთხვევაშია შესაძლებელი. Sacher-ის საქმეში¹²⁹, უზენაესმა სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ადვოკატებისათვის სანქციების დაკისრება სასამართლო დარბაზში გაკეთებული განცხადებების გამო. ამისაგან განსხვავებით, პირველი შესწორებით დაცული გამომხატვის შეზღუდვასთან დაკავშირებული პრობლემები იჩენს თავს, როდესაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი რეგულაციები ემსახურება ანა ხელშეწყობას, ფუნქციონალურ მიზნებს, არამედ ისეთ აბსტრაქტულ ფასეულობებს, როგორიცაა – კანონის უზენაესობის პატივისცემის წახალისება,

126 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1959 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე In re Sawyer.

127 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1963 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე NAACP v. Button.

128 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1991 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Gentile v. State Bar of Nevada.

129 ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1952 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Sacher v. United States.

სამართლის სისტემის მიმართ საზოგადოების რწმენის შენარჩუნება და პროფესიის ღირსების დაცვა.¹³⁰

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, არის სასამართლოს განსხვავებული მიდგომა იმის მიხედვით, თუ რას/ვის ეხება კრიტიკა. *„იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები წარმოადგენენ სახელმწიფოს ფუნდამენტურ ინსტიტუტს, ისინი, შესაძლოა, გახდნენ პირადი კრიტიკის ობიექტები, დასაშვებ ფარგლებში, და ეს შესაძლოა გამოიხატოს არა მხოლოდ თეორიულ და ზოგად ქცევაში. (see July and SARL Libération, cited above, § 74). საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებისას, ისინი შესაძლოა დასაშვები კრიტიკის უფრო ფართო საზღვრებს დაექვემდებარონ, ვიდრე რიგითი მოქალაქეები“.*¹³¹

Barfod-ის საქმეში, სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება სწორედ სასამართლოს დასაბუთებასა და პერსონალურ შეტევას შორის ზღვრის გადგებაზე დააფუძნა: *„სადავო განცხადება არ ყოფილა დასაბუთების კრიტიკა, ეს იყო ცილისმწამებლური ბრალდება მოსამართლეების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების თვალში მათ დამცირებას და გამოთქმული იყო ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე“.*¹³²

შედარებით უფრო მკაფიო ზღვარი გაავლო სასამართლომ კრიტიკასა და პერსონალურ თავდასხმას შორის Skalka-ს საქმეში: *„მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის. თუ რაიმე ფორმით გამოხატვის ერთადერთი მიზანი სასამართლოს, ან ამ სასამართლოს მოსამართლის შეურაცხყოფაა, მაშინ სათანადო სანქცია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არ იქნება დარღვევა“.*¹³³

130 იქვე.

131 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France para. პარ. 131.

132 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1989 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Barfod v. Denmark, პარ. 35. ანალოგიური არგუმენტი იქნა გამოყენებული Amihalachioaie-ს საქმეში მოსამართლე Pavlovcschi-ს მიერ განსხვავებულ აზრში; „განმცხადებლის სადავო განცხადება არ ყოფილა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების კრიტიკა, არამედ ეს იყო ცილისმწამებლური ბრალდება სასამართლოს მოსამართლეების, ისევე როგორც მთლიანად სასამართლოს, ქვეყნის მართლმსაჯულების უზენაესი ავტორიტეტის წინააღმდეგ...“

133 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Skalka v. Poland, პარ. 34.

გადაწყვეტილების დასაბუთებისა და კონკრეტული მოსამართლის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებების შეფასების დროს სასამართლოს მიერ განსხვავებულ მიდგომაზე მეტყველებს Peruzzi-ს საქმეც. სასამართლოს შეფასებით, „*უსამართლო და მიკერძოებული გადაწყვეტილებების*“ მიღებაში მოსამართლის დადანაშაულება არ სცდებოდა კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, ვინაიდან ამგვარი განცხადება უფრო მეტად შეფასებითი მსჯელობაა, რომელსაც გააჩნია გარკვეული საფუძველი, ვიდრე ფაქტის მტკიცება და შესაბამისად, ამგვარი გამოხატვის ჭეშმარიტების მტკიცების ვადებზედებაც არ არსებობს¹³⁴ მაშინ როდესაც იმის თქმა, რომ მოსამართლე „*მიკერძოებული*“ იყო და „*განზრახ დაუშვა შეცდომები, ბოროტი განზრახვით, სერიოზული გადაცდომით ან უყურადღებობით,*“ კონვენციის მე-10 მუხლით დაცული სფეროს მიღმა მიიჩნია.¹³⁵ კიდევ უფრო ფართო ჩამონათვადი, იმისა თუ რა ჩათვლება პერსონალურ შეურაცხყოფად, შემოგვთავაზა სასამართლომ Radobuljac-ის საქმეში,¹³⁶ რომლის მიხედვითაც, განმცხადებლის კრიტიკულ შეფასებებს, რომელიც მიემართებოდა კონკრეტულად მისი კლიენტის საქმეში მოსამართლის ქცევას და დისტანცირებული იყო მოსამართლის მოკავშირე პროფესიონალიზმის შეფასებისაგან, არაფერი ჰქონდა საერთო ისეთ კომენტარებთან, რომელიც სასამართლომ ან ყოფილი კომისიამ მიიჩნია პიროვნულ შეურაცხყოფად, ასეთებია მაგალითად: მოსამართლის დადანაშაულება განზრახ რეალობის დამახინჯებაში, უყოყმანოდ ტყუილის თქმაში ან მცდარი ანგარიშის მომზადებაში, რომელიც სიცრუესა და განზრახ არასწორ ინფორმაციას შეიცავს. ასევე მოსამართლეზე პიროვნულ თავდასხმად ითვლება და სცდება კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების საზღვრებს, საქმის განმხილველი მოსამართლის პროფესიული კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება, იგივე შეიძლება ითქვას ისეთი შეურაცხმყოფელი ტერმინების გამოყენებაზე, როგორცაა „*უპასუხისმგებლო კლეუნები*“, „*შემლუღული ინდივიდები*“ და „*წარმოუდგენელი კრეტინები*“.¹³⁷

134 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Peruzzis v. Italy, პარ. 57-59.

135 იქვე, პარ. 60

136 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Radobuljac v. Croatia.

137 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Radobuljac v. Croatia. პარ. 66.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ სადავო განცხადებებთან დაკავშირებით, ფოკუს-ჯგუფში მონაწილე წევრთა ნაწილის შეხედულება განსხვავდებოდა ევროპული სასამართლოს მოსაზრებისაგან. რესპოდენტთა უმეტესობის შეფასებით, ზემოხსენებული გამონათქვამების ნაწილი:

- › „მოსამართლე იღებს თვითნებურ და არასამართლიან გადაწყვეტილებებს, იგი არის მიკერძოებული და წინასწარი შეცნობით, განზრახ უშვებს შეცდომებს“;
- › „მოსამართლე გამიმზნად ამახინჯებს რეალობას, უყოყმანოდ ცნობს, იღებს მცდარი ინფორმაციის შემცველ გადაწყვეტილებას“;
- › „მოსამართლეები მანტიაში გადაცმული ჯაღათები არიან“

ჯდება გამოხატვის თავისუფლებით დაკავშირებული სფეროში. მხოლოდ მცირე გამონაკლისის სახით აღინიშნა, რომ უმეტესი იქნებოდა, თუ ამგვარი განცხადებების გაკეთებისაგან, განსხვავებით რიგითი მოქალაქეებისაგან, თავს შეიკავებდნენ პოლიტიკოსები და იურისტები. აღნიშნული ორი ჯგუფის გამოყოფა, ერთი მხრივ, შესაძლოა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენისაგან თავის დაცვის მიზნით აიხსნას (პოლიტიკოსების შემთხვევა), ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული ქცევის კოდექსზე მითითებით (იურისტების შემთხვევა).

ნეგატიური შინაარსის შემცველი განცხადებების გაკეთება, რომლებიც კონკრეტულ მოსამართლეს/მოსამართლეებს ან სამართალწარმოების პროცესში ჩართულ პირებს შეიძლება შეეხებოდეს, რა თქმა უნდა, იმთავითვე არ გულისხმობს დასაშვებ კრიტიკის ფარგლების დარღვევას. Morice-ს საქმეში, სადაც დიდმა პადატამ, კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება შეცვალა, სასამართლოს შეფასებით ნეგატიური და მტრული შინაარსის მიუხედავად, განცხადების მიზანი იყო საგამოძიებო პროცესის ფუნქციონირებაზე მითითება, რაც საჭარო ინტერესის ობიექტს წარმოადგენდა. ადვოკატებს უნდა შეეძლოთ, საზოგადოების ყურადღება მიმართონ მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პოტენციური გადაცდომებისკენ, კონსტრუქციული კრიტიკა დაეხმოს დასაბუთებულად აისახება თავად სისტემაზე.¹³⁸

138 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Morice v. France პარ. 167.

კრიტიკის ობიექტის განსაზღვრის ნაწილში, შეერთებული შტატების პრაქტიკა ევროპული სასამართლოს მიდგომისაგან განსხვავებულია. უმენაესი სასამართლო, მოსამართლეების წინააღმდეგ გამოთქმულ კრიტიკას, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების მიმართ გამოთქმული კრიტიკისაგან არ განასხვავებს. აღნიშნულს განამტკიცებს შემოხსენებულ Garrison-ის საქმეში, მოსამართლე ბრენანის პოზიცია:

*„რა თქმა უნდა, ნებისმიერი კრიტიკა, რომელიც დაკავშირებულია საჯარო მოხელის მიერ საკუთარი უფლებამოსილების შესრულებასთან, გავლენას იქონიებს, როგორც მის პირად, ასევე საჯარო რეპუტაციაზე. [...] „საჯარო მოხელის“ წესი იცავს საზოგადოების პირველხარისხოვან ინტერესს – ინფორმაციის თავისუფლად მიმოცვლის ფარგლებში, მიიღონ ინფორმაცია საჯარო მოხელეების, მათი მსახურების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად, რეგვანტურია ნებისმიერი რამ, რაც შეეხება საჯარო მოხელის შესაბამისობას დაკავებულ თანამდებობასთან“.*¹³⁹

შესაბამისად, ორივე შემთხვევაში¹⁴⁰ აქტუალურია „რეალური ბორტოტი განმრახვის“ ტესტის გამოყენება. ამერიკის შეერთებული შტატების იურისდიქციის ფარგლებში ხელისუფლებისა და კონკრეტული მოსამართლეების მიმართ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების დაცვის მაღალი სტანდარტი განპირობებულია არა მხოლოდ კონსტიტუციის პირველი შესწორებით უზრუნველყოფილი გარანტიით, არამედ თავად მოსამართლეების მიერ თავიანთი თანამდებობის როლისა და მნიშვნელობის გააზრებით. Craig-ის¹⁴¹ საქმეში, მოსამართლეთა ცნებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ ისინი არიან მამაცი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავი წარმატებით გაართვან მძიმე კლიმატს. შეხედულებას, რომ მოსამართლეებზე მხოლოდ კრიტიკის მიმართ მაღალი რეზისტენტულობის მქონე პირები უნდა ინიშნებოდნენ, მხარს უჭერდნენ ისეთი მოსამართლეები, როგორებიც არიან მოსამართლე ფრანკფურტერი¹⁴² (Frankfurter) და მოსამართლე სკალია¹⁴³.

139 ამერიკის შეერთებული შტატების უმენაესი სასამართლოს 1964 წლის გადაწყვეტილება საქმეზე Garrison v. Louisiana, გვ. 379 U.S. 77.

140 იგულისხმება მოსამართლის და მისი გადაწყვეტილების კრიტიკა.

141 ამერიკის უმენაესი სასამართლოს 1947 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Craig v. Harney.

142 ამერიკის უმენაესი სასამართლოს 1946 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე Pennekamp v. Florida, მოსამართლე ფრანკფურტერმა აღნიშნა, რომ „სუსტი ხასიათის მქონე პირები ვერ იქნებიან მოსამართლეები“ (ინგ. Weak characters ought not to be judges).

143 მოსამართლე სკალიას შეფასებით, „მოსამართლეები უნდა ჩადგნენ „თოკებთან მომწყვედელის“

საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც დროში უსწრებდა Morice-ისა და Ottan-ის საქმეებს და რომელშიც სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს 2011 წლის 31 მაისს მიღებული გადაწყვეტილება, საქმეზე ZUGIC v. CROATIA, სადაც განმცხადებელი 500 ხორვატული კუნათი (დაახლოებით 213 დარი) დაჭარიმდა სასამართლოს შეურაცხყოფისათვის.

საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით ხორვატიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს შემდეგ დათქმას: პირველი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია დააჭარიმოს კერძო პირი 500-დან 5000 ხორვატიულ კუნამდე, ან იურიდიული პირი 2 000-დან 20 000 ხორვატიულ კუნამდე, თუკი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს, მხარეს ან პროცესის სხვა მონაწილეს. ჯარიმა შეიძლება დაეკისროს ასევე მხარის წარმომადგენელს ან პროცესში ჩართულ პირს, თუკი ის არის პასუხისმგებელი სასამართლოს შეურაცხყოფისათვის.¹⁴⁴ ხორვატიის პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ჩათვადეს, რომ განმცხადებლის მხირდან ადგილი ჰქონდა სასამართლოს შეურაცხყოფას. ზაგრების მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების თანახმად:

„მოპასუხე ნიკოლა მუვიჩი ბაგრებიდან ... დაჭარიმდა 500 კუნას ოდენობით, ვინაიდან 2005 წლის 27 დეკემბრის სააპელაციო სარჩელში შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს შემდეგი განცხადებით: „უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების სარგებლოდ ნაწილის გამოცხადებამდე მოპასუხეს ჰქვიათ, აპირებდა თუ არა [დავადიანების] გადახდას, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა – საიდან მოიტანეთ ეს ამრი? და ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მას საქმის მასალები გამოკვლეული [...] სამწუხაროდ, სასამართლოს არ ჩაუწერია მოსამართლესა და მოპასუხეს შორის გამართული ეს დიალოგი. როგორი სამოსამართლო პროფესიონალიზმია!“¹⁴⁵

პოზაში, როდესაც აკრიტიკებენ, და მანამ მიიღონ დარტყმები პირდაპირ, სანამ მონინააღმდეგეები თავად არ დაანებებენ თავს“ (ინგ. judges should adopt a „rope-a-dope“ posture when criticized, taking the hits passively until their adversaries wear themselves out). ციტატა აღებულია სამართლის ნაციონალური ფუნდისათვის 2007 წლის 22 ივნისს ტონი მაუროს მიერ მომზადებული სტატიიდან „Press frets as more judges sue for libel“.

144 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Zugic V, Croatia. პარ 19.

145 იქვე, 13

ზაგრების მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით, განმცხადებლის მხრიდან ამგვარი ქცევა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას გამოხატავდა, უჭვექვეშ აყენებდა მოსამართლის ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მოსამართლესთან კომუნიკაციის დაუშვებელი ფორმაა, ეს იყო მოსამართლის, როგორც პიროვნების მიმართ გამოხატული პირდაპირი შეურაცხყოფა.

აღნიშნული მიდგომა გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც, რომლის შეფასებითაც, განცხადებები, რომლებიც აპლიკანტმა სააპელაციო სარჩელში წარმოადგინა, გამოხატავდა სასამართლოს უპატივცემულობას, რაც, ცხადია, სასამართლოსთან კომუნიკაციის შეუფერებელი ფორმაა და სცდება იმ ზღვარს, რომელიც სასამართლოსთან, როგორც საზოგადოების ინსტიტუტთან ცივილური და სამართლიანი ურთიერთობისთვის არის დადგენილი.¹⁴⁶

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლოების საქმიანობა, რომლებიც არიან სამართლიანობის გარანტორები და რომლებსაც გააჩნიათ ფუნდამენტური როლი კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოში, საჭიროებს საზოგადოების მხრიდან ნდობას. შესაბამისად, ის დაცული უნდა იყოს ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეტევებისაგან. მიუხედავად ამისა, სასამართლოები, როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ინსტიტუცია, დაცულნი არ არიან კრიტიკისა და შემოწმებისგან (იხილეთ: Skalka-ს საქმე, § 34). შესაბამისად, მხარეები უფლებამოსილნი არიან კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, რათა დაიცვან თავიანთი უფლებებით, თუმცა მათმა კრიტიკამ არ უნდა გადააჭარბოს დადგენილ საზღვრებს (იხილეთ: Saday v. Turkey, no. 32458/96, § 43). კონკრეტულ შემთხვევებში, მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის. იმ შემთხვევაში, თუკი გამოხატვის ერთდღერთი მიზანი სასამართლოს ან სასამართლოს წევრის შეურაცხყოფაა, მაშინ სათანადო სანქციის გამოყენება, პრინციპში, არ დაარღვევს კონვენციის მე-10 მუხლს.¹⁴⁷

სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული დავის ეროვნული სასამართლოების დადგენილებიდან განსხვავებულად გადასაწყვეტად, საფუძველი არ არსებობდა. სასამართლო კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მანამდე განხილულ საქმეებს, რომლებშიც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა არ დაუდგენია,

146 იქვე, 15

147 იქვე, 45

კერძოდ: Soday-ის საქმე, სადაც თურქეთის სასამართლო სისტემა დახასიათებული იყო როგორც „მანტიაში გადაცმული ჯალათები, ასევე W.R. ავსტრიის წინააღმდეგ და Mahler გერმანიის წინააღმდეგ.

აღნიშნული საქმე, ქართული რეალობისათვის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ხორვატიის სასამართლოების მიერ გამოყენებული მუხლის მსგავსი ჩანაწერის შემცველი ნორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც გვაქვს მოცემული, და იგი სასჯელის სახით, ყველაზე მსუბუქ სანქციას, ასევე ჯარიმას ითვადისწინებს, თუმცა როგორც ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციიდან გამოიკვეთა, სასამართლო პრაქტიკულად არ იყენებს სასჯელის ამ სახეს და ჩადენილი ქმედების პროპორციულ სასჯელად თითქმის ყოველთვის თავისუფლების აღკვეთას მიიჩნევს.

როგორც უკვე აღინიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა სასამართლო ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკის შემზღვევის საკითხში შესამჩნევად განსხვავდება ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან. შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებული მიდგომა განპირობებულია ერთი მხრივ, თავად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების ვრცელი ჩანაწერით, რომლის მიხედვითაც, *„კონგრესს ეკრძალება, მიიღოს კანონი, რომელიც შემზღვევს სიტყვის ან პრესის თავისუფლებას, დააწესებს რელიგიას, ხელს შეუშლის თავისუფად აღმსარებლობას, ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას, პეტეციით მიმართოს მთავრობას“*. ხოლო მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფო მოწყობაში სასამართლო ხელისუფლების როლისა და ადგილის, გააზრებით, რაც მას საზოგადოების წინაშე ანგარიშვადღებულს ხდის. *„შტატებისა და ფედერალურმა მოსამართლეებმა გამოსცადეს ინტენსიური კრიტიკის ციკლები, რომელიც ამერიკის ისტორიის განმავლობაში დაგროვდა და გამოვიდა“*.¹⁴⁸ მოსამართლეთა და მათი მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკა *„იმ მომენტებიდან დაიწყო, როდესაც მოსამართლეებმა ისეთი გადაწყვეტილებები მიიღეს, რომელსაც სხვა შტოს წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ“*.¹⁴⁹ გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ როლს გაუსვა ხაზი ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა 1941 წლის 6 იანვარს კონგრესის წინაშე სიტყვით გამოსვლისას. ოთხ თავისუფლებას შორის, პრეზიდენტის განცხადებით პირველი სწორედ გამოხატვის

148 Citizens for Independent Courts, Uncertain Justice: Politics and America's Courts, II. THE CRITICISM OF JUDGES IN HISTORICAL CONTEXT (New York: The Century Foundation Press, 2000) გვ. 131

149 Michael Hawkins, Dining with the Dogs: Reflections on Criticisms of Judges, გვ. 1355

თავისუფლება.¹⁵⁰ შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება გამოხატვის თავისუფლების უპირველეს დამცველად.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება არაფერს ამბობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველზე, მაგრამ აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური უფლებაა. ამერიკის უზენაესი სასამართლო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას იყენებს ე.წ ცხადი და მყისიერი საფრთხის ტესტს¹⁵¹. რაც გულისხმობს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამონეგვას და არსებობს მაღალი ადრათობა, რომ ასეთი ქმედება შედგება.¹⁵²

150 Franklin D. Roosevelt's „Four Freedoms“.

151 ამერიკის შეერთებული შტატების გადანყვეტილება საქმეზე Schenck v. United States, 249 U.S. 47, (1919);

152 სიძულელის ვნა (სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, გვ 8.

საერთო სასამართლოების პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში, გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია საერთო სასამართლოების მიერ 2014-2019 წლებში სისხლის სამართლის 366-ე მუხლით განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სამივე ინსტანციის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

წლები	რაიონული (საქადაქო) სასამართლოები		სააპელაციო სასამართლოები		უზენაესი სასამართლო	
	განხილულია განაჩენის გამოტანით		განხილულია სააპელაციო საჩივარი		განხილულია საკასაციო საჩივარი	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
2014	4	4	2	2	-	-
2015	7	11	4	7	-	-
2016	4	4	1	1	4	7
2017	7	10	4	7	1	1
2018	4	5	3	4	4	7
2019 (4 თვე)	2	2	1	1	-	-

უზენაესი სასამართლოს გარდა, იმავე მუხლით განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, ინფორმაცია გამოვითხოვეთ თითოეული რაიონული (საქადაქო) და სააპელაციო სასამართლოდან. რაიონული/საქადაქო და სააპელაციო სასამართლოების შემთხვევაში, შედარებით გაფართოვდა საანგარიშო ძროის მონაკვეთი და გამოვითხოვეთ 2009 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 7 ივნისამდე ძროის მონაკვეთში არსებული მონაცემები. როგორც მიღებული ინფორმაციიდან გაირკვა, სასამართლოების ნაწილს, მაგალითად, თეთრიწყაროს, სამტრედიის, საჩხერის, თელავის, ახალქალაქის, ცაგერის, ხაშურისა და გურჯაანის სასამართლოებს, საანგარიშო პერიოდში მსგავსი შემთხვევა არ განუხიდავთ. გამოვლინდა

გამოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მოწოდების შემთხვევებიც, მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა, დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება, მოთხოვნილი სახით არ ხორციელდება, შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვით მხოლოდ სამი განაჩენის ასლი მოგვეწოდა.

რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავების პროცესში ყურადღება გამახვილდა: საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, სასამართლოს მიერ განვითარებულ მსჯელობაზე (ზემოხსენებული ნორმის განმარტებაზე/დისპოზიციასთან ჩადენილი ქმედების შესაბამისობის დადგენის ნაწილზე) და სასამართლოს მიერ განონდამრღვევისათვის დაკისრებული მსჯავრის ზომამზე.

აღნიშნული განაჩენების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე საერთო მახასიათებელი, კერძოდ:

- *სამართალდარღვევათა აბსოლუტური უმრავლესობა ჩადენილი იყო სასამართლოს შენობაში, სხდომათა დარბაზში პროცესის მიმდინარეობასა, უშუალოდ ბრადებულის ან მასთან დაახლოებული პირის მიერ;*
- *სასამართლოები გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში მოწმეთა ჩვენებებსა და სხდომის აუდიოჩანაწერებს ეყრდნობიან;*
- *იშვიათი გამონაკლისის გარდა (რომელსაც ცალკე განვიხილავთ), თითქმის არცერთ განაჩენში არ არის განმარტებული სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით კრიმინალიზებული ქმედების არსი და დაცული სიკვთე;*
- *საერთო სასამართლოების მიერ გადმოცემულ განაჩენებში ნახსენები არ არის, ან ძალიან ზოგადი სახით არის აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკა, განმარტება ან დადგენილი სტანდარტი.*

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან პირველი – სამართალწარმოების

მონაწილის, ხოლო მეორე – საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფისთვის ითვადისწინებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დავისწინების შესაძლებლობას. კვლევის მიზნებისათვის საკითხი მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯად ქმედებაზე დაგავიწროვებ. განაჩენში სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების მხრივ, იშვიათ გამო-ნაკლისს მიეკუთვნება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/681-16. მართალია აღნიშნული განაჩენი სისხლის სამართლის კოდექსის 366.1 მუხლით გათვადისწინებული ქმედების ჩადენის საფუძველზეა მიღებული, თუმცა საინტერესოა ის განმარტებები, რომელსაც სასამართლო რიგ საკითხებთან დაკავშირებით აკეთებს. ვერძოდ, *„სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოწმისთვის შეურაცხყოფის მიყენებით ბრადღებულმა გამოავლინა იმავდროულად სასამართლოს უპატივცემულობა, ვინაიდან მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის წარმართვის პროცესში მისი თანდასწრებით სასამართლო სხდომის დაბრძანებაში განხორციელდა სამართადწარმოების დადგენილი წესის უხეში, მიუღებელი ფორმით დაზღვევა, რაც ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტსა და მიმართულია სასამართლოს ნორმალური საქმიანობის წინააღმდეგ“*.¹⁵³

ქმედების სამართლებრივი შეფასებისას, სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ *„საქართველოს სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვადისწინებული დანაშაული ხელყოფს სასამართლოს ავტორიტეტს, მორადურ ბიანს აყენებს დამარადებულს. ხელს უშლის სასამართლოს ნორმალური საქმიანობას“*.¹⁵⁴

„სასამართლოს ავტორიტეტთან“ დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი და არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის ნორმა-ტიული ჩანაწერი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, *„სასამართლოს ავტორიტეტს“* არ ითვადისწინებს გამო-ხატვის თავისუფლების შემზღუდვის დეგიტომურ საფუძველად.

ასევე მნიშვნელოვანია ამავე სასამართლოს მიერ შემოთავაზებული შეურაცხყოფის დეფინიცია. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შეფა-სებით, აღნიშნულ საქმეში, *„განსახიდვეველი დანაშაული ობიექტური*

153 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/681-16, გვ.4

154 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/681-16.

*მხრივ სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფაში გამოიხატა. შეურაცხყოფა შეიძლება გამოიხატოს გერბალური ფორმით. შეურაცხყოფა გულისხმობს უწესო ფორმით პირის პატივისა და ღირსების შემდახვედი ქმედების განხორციელებას, რაც შესაძლებელია როგორც სიტყვიერი ფორმით, ისე მოქმედებით“.*¹⁵⁵

სამართლებრივი დასაბუთების კუთხით, საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 თებერვლის განაჩენის 3.2 და 3.3 პუნქტებიც, სადაც დანაშაულის ობიექტი განხილულია როგორც სისხლის სამართლის კოდექსის 366.2 მუხლის მიზნებისათვის, ასევე – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, ზღვარი სასამართლოს შეურაცხყოფასა და მოსამართლის კრიტიკას შორის.

ხსენებულ განაჩენი, იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნება, რომელშიც სასამართლოს მიერ თუნდაც ერთ წინადადებით არის განმარტებული საქართველოს სსკ-ის 366.2 მუხლით კრიმინალიზებული ქმედება და დანაშაულის ობიექტი. „366-ე მუხლის მე-2 ნაწილში კრიმინალიზებული სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატება მოსამართლის შეურაცხყოფაში. დანაშაულის ობიექტია მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს – სასამართლოს ნორმალური საქმიანობა და სასამართლოს ავტორიტეტი, ხოლო დამატებით ობიექტია მოსამართლის პატივი და ღირსება“.

მოსამართლის პატივისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ კვლევაში მოყვანილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არცერთ შემთხვევაში არ იცნობს მოსამართლის პატივისა და ღირსების, როგორც თუნდაც დამატებით დაცვის ობიექტს.

განაჩენი გამოირჩეულია მასში მითითებული ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებითაც. სასამართლოს შეურაცხყოფასა და მოსამართლის კრიტიკას შორის ზღვრის დადგენაზე საუბრისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოშველიებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება – მიხაილოვა უკრაინის წინააღმდეგ (Mikhaylova v. Ukraine), no 10644/08 6 მარტი 2018წ, კერძოდ, 88 პარაგრაფი, სადაც ზოგადად აღნიშნულია, რომ მართალია მხარეები უფლებამოსილინი არიან მათდმსაჯულების ადმინისტრირებასთან

155 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი საქმეზე N1/681-16, გვ.3

დაკავშირებით გააკეთონ კომენტარები, მაგრამ მათი მხრიდან გამოხატული კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ ფარგლებს. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოხატვის ერთადერთ განზრახვაა სასამართლოს ან მისი წევრების შეურაცხყოფა ან თავდასხმა, **შესაფერისი სანქციის გამოყენება არ განაპირობებს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.**¹⁵⁶

სასამართლოს მიერ ნახსენებ საქმეში გადმოცემული ფაქტების მიხედვით, ერთ-ერთი საქმის ფარგლებში, განმცხადებელი აყენებდა მოსამართლის აცხადების შუამდგომლობას და მას წარსულში მის მიერ განხილული საქმეებიდან დაგროვილი გამოცდილებითა და ერთ-ერთ გამოცხადებულ ნაკითხვად სტატიით (რომელიც აღნიშნულ მოსამართლეს შეეხებოდა) ასაბუთებდა. განმცხადებლის შეფასებით, ხსენებული მოსამართლე მიზანმიმართულად არ ითვალისწინებდა მის არგუმენტებს, და ყოველ ჯერზე, როდესაც მის წინაშე წარსდგებოდა როგორც მხარე ან წარმომადგენელი, მისი პოზიციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებდა. სასამართლოს აცხადების შუამდგომლობის განხილვის პროცესში, განმცხადებელსა და მოსამართლეს შორის პოლემიკა გაიმართა და ერთ-ერთი წინა საქმის განხილვის დროს, მოსამართლემ მიიღო საქმის გადავადების გადაწყვეტილება. ხსენებული დაპირისპირების საფუძველზე, განმცხადებლის წინააღმდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტზე, განცხადება მოსამართლის დავადებით სხდომის მდევანმა შეავსო. ამ განცხადების საფუძველზე, აპლიკანტს ბრალი ედებოდა სასამართლოს შეურაცხყოფაში. საბოლოო ჯამში, განმცხადებელი დამნაშავედ იქნა ცნობილი სასამართლოს შეურაცხყოფის საქმეში და **მისეჯა 5 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.**

ამ მოცემულობის პირობებში, სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ განმცხადებელი არ იყო ადვოკატი და, შესაბამისად, დისციპლინურ ზომებს ვერ დაექვემდებარებოდა, შიდა სასამართლოებისათვის კიდევ უფრო ამცირებდა ხელმისაწვდომი სანქციების დიაპაზონს. ამავდროულად, ნათელი იყო, რომ სასამართლოს შეეძლო ნაკლებად მზლუდავი სანქცია – მაგალითად, ჯარიმა, გამოეყენებინა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შიდა სასამართლოების პირდაპირი მოვალეობაა, ეროვნულ დონეზე სასამართლოს არ განუმარტავს, თუ რატომ მიიჩნია ყველაზე შესაფერისი სანქციად მანკცდამანკც თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული დასაბუთების ფონზე, სტრასბურგის სასამართლომ 5-დღიანი

156 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Mikhaylova v. Ukraine. პაწ. 88.

ადმინისტრაციული პატიმრობა არაპროპორციულ სასჯელად შეაფასა, რომელსაც, შესაძლოა, „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონოდა ინდივიდებზე, მათ შორის, მოსამართლეებზე, წარემართათ საქმეები სასამართლოს წინაშე (პარ. 95-96).

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასურველია, საერთო სასამართლოებმა არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენტულ გადაწყვეტილებებში გააღწერონ ზოგადი შინაარსის მსჯელობები გადმოიტანონ, არამედ, გაიაზრონ კიდევ ის სტანდარტი, რომლის დანერგვასაც აღნიშნული გადაწყვეტილებებით ევროპული სასამართლო ცდილობს. და თან მაშინ, როდესაც საქართველოში მოქმედი გამოხატვის თავისუფლების სტანდარტი ევროკონვენციით დადგინდ მინიმალურ სტანდარტზე კიდევ უფრო მაღალია და თითქმის უტოლდება ამერიკულ მოდელს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სასჯელის შეფარებისას სასამართლოები შეეცადონ ნაკლებად მზლუდავი სანქციის გამოყენებას, როგორცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან ჯარიმა. მართალია, ვიზიარებთ პოზიციას, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემის არსებობა, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული რეგულაციური მიზნის მიღწევა თავისუფლების აღკვეთაზე ნაკლებად მზლუდავი სასჯელების გამოყენებითაც შესაძლებელია.

ნაკლებად მზლუდავი სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით ჩვენს შეხედულებას ვამყარებთ, ერთი მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილებაში¹⁵⁷ სასამართლო კოლეგიის წევრთა ერთი ნაწილის – ქეთევან ერემაძისა და კონსტანტინე ვარძელაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობაზე, ხოლო მეორე მხრივ, კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ორიდვიდი სფეროს წარმომადგენლების შეხედულებაზე.

სასამართლო განხილვის მომენტისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) უფლებამოსილი იყო, სასამართლოს მიმართ გამოხატული აპკარა და უხეში უპატივცემულობის შემთხვევაში, პირის 30 დღე-ლამემდე ვადით დაპატიმრების შესახებ გამოეყანა განკარგულება. ხსენებულ გადაწყვეტილებაში „საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს,

157 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რომ თეორეტიკოსთა, პრაქტიკოს იურისტთა, სამართალშემფარებელთა განსხვავებული და ზოგჯერ ურთიერთგამომირიცხავი მოსაზრებების შეფასებისას ცხადი გახდა, რომ ნორმაში სამართალდარღვევის შინაარსი არ არის მკაფიოდ ფორმულირებული, რის გამოც მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის განმარტების საფუძველზე, რაც ისევ მისი არაკონკრეტულობიდან და ბუნდოვანებიდან გამომდინარე, არაერთგვაროვანია.“¹⁵⁸

ამასთან, ნორმის ბუნდოვანება განპირობებულია არა მხოლოდ მისი სახეობის განსაზღვრის შეუძლებლობით, არამედ თავად შინაარსითაც. კერძოდ, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 366-ე მუხლის თანახმად, დანაშაუად ითვლება სასამართლოსადმი უპატივცემულობა, რაც სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით გამოიხატა. ეს დანაშაული ისტუმბა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ერთ წლამდე. მაკვადიფიცირებული გარემოებაა იმავე ქმედების ჩადენა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის მიმართ.

მაშასადამე, ერთი მხრივ, დანაშაულია სასამართლოს უპატივცემულობა, რაც მხარის ან მოსამართლის, მსაჯულის შეურაცხყოფით გამოიხატა, მეორე მხრივ კი, სადავო ნორმებით დადგენილია პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ გამოხატული „აშკარა და უხეში უპატივცემულობისთვის.“ *[...] გარდა ამისა, შეფასების საგანია, თუ რა მიიჩნევა „აშკარა და უხეში“ უპატივცემულობად, მოიცავს თუ არა იგი შეურაცხყოფასაც, თუ პირიქით, უპატივცემულობა, თუნდაც აშკარა და უხეში, არსებობს მანამ, სანამ ქმედება შეურაცხყოფაში არ გადაზრდილა. რადგან „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 366-ე მუხლიდან გამომდინარე, უპატივცემულობა მოიცავს შეურაცხყოფას, უნდა ვივარაუდოთ, რომ სადავო ნორმების შემთხვევაშიც, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობა შესაძლოა გამოიხატოს შეურაცხყოფაში, მათ შორის, როგორც მოსამართლის, ისე მხარის და სხვა დამსწრე პირთა მიმართაც. ასეთ ვარაუდებს სადავო ნორმის ტექსტი ვერ გამოირიცხავს. [...] გემოალნიშნული გარემოებების შეჭერების საფუძველზე, აუცილებელია ითქვას: როდესაც კანონმდებლობით ხდება პასუხისმგებლობის ისეთი ზომის შემოღება, როგორიცაა დაპატიმრება,*

158 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393.397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პან. 2.

1) მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თავად სამართალდარღვევის შინაარსი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ეს ზომა; 2) ის ძალზე მკვეთრად და აშკარად უნდა განსხვავდებოდეს იმავე ობიექტის წინააღმდეგ მიმართული სხვა სახის სამართალდარღვევისა და მისთვის დაწესებული პასუხისმგებლობისგან. ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან, ერთი მხრივ, სამართალდამრღვევმა მუსტად უნდა იცოდეს, რა შინაარსის სამართალდარღვევისთვის უფარდებენ მას პატიმრობას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელმა (მოსამართლემ) შეძლოს შესაბამისი ნორმების სწორად და ადეკვატურად გამოყენება“.¹⁵⁹

რაც შეეხება იურიდიული სფეროს წარმომადგენლების შეხედულებებს, რესპონდენტებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლში გამოყენებულ ტერმინებზე – „*მოსამართლის შეურაცხყოფა*“ და „*სასამართლოს უპატივცემულობა*“. ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ადვოკატებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ნაწილისათვის, გარდა აღნიშნული ტერმინების შინაარსის ბუნდოვანებისა, გაუგებარია, ნორმის დისპოზიციით გათვალისწინებული დარღვევები რატომ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმე. მეტიც, ერთ-ერთი შეხვედრის დროს იმაზეც გამახვილდა ყურადღება, რომ შესაძლოა ტერმინთა ბუნდოვანებამ ნორმის კონსტიტუციურობა დააყენოს ეჭვქვეშ. რესპონდენტების მეორე ნაწილის აზრით, სასამართლოს უპატივცემულობა შეიძლება გამოიხატოს ქცევებსა და სასამართლო სხდომის პროცედურული წესების დარღვევაში. პროფესიული წრის წარმომადგენელთა ამ ჯგუფის შეფასებით, მოსამართლის შეურაცხყოფა შეიძლება სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატოს, როდესაც მის მიმართ სადანძლავ სიტყვებს იყენებენ ან/და ფიზიკურ ნაკვზე მიუთითებენ. შეხვედრების დროს ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სასამართლო პროცესის წესების დარღვევა წესრიგის დარღვევაა და არა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა. ასევე, აღინიშნა ისიც, რომ ის, თუ რას მიიჩნევს მოსამართლე შეურაცხყოფად, ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მოსამართლის ალქიმაზე.

ფოკუს-ჯგუფების მსჯელობის საგანი იყო იმ განცხადებებისა და ტერმინების შეფასებაც, რომლებიც, სხვადასხვა დროს, გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას შორის სამართლიანი ბალანსის დაცვაზე მსჯელობის ფარგლებში, ადამიანის

159 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. პარ. 2.

უფლებათა სასამართლოს წინაშე სადავო გამხდარა. რესპონდენტთა ნაწილისათვის, მათ შორის, სასამართლოს წარმომადგენელთათვის, ყველა განხილული გამონათქვამი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცეოდა. რესპონდენტთა ნაწილმა გამონათქვამთა მხოლოდ მცირე ჯგუფი შეათასა შეურაცხყოფად.

შესაბამისად, ნათელია, რომ შროფესიურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით გათვალისწინებულ „*მოსამართლის შეურაცხყოფას*“ და „*სასამართლოს უპატივცემულობაში*“. აღნიშნული იძლევა ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული ტერმინების მიმართ ერთიანი, ჩამოყალიბებული შეხედულება, შესაძლოა, თავად სასამართლო სისტემის შიგნით არ იყოს ჩამოყალიბებული, შესაბამისად, ყოველ ცადკეულ შემთხვევაში რთული იქნება იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რომელი ქმედება ჩაითვლება დანაშაულად.

საერთო სასამართლოების ზოგადი პრაქტიკიდან, განცადკევებით განვიხილავთ ზვიად კუპრავას წინააღმდეგ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ განაჩენებსა და მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძესა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ფადი ასლის შორის მიმდინარე კერძო-სამართლებრივ დავაზე საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებას.

საერთო სასამართლოების ზოგადი პრაქტიკიდან განცადკევებით განვიხილავთ ზვიად კუპრავას წინააღმდეგ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიღებულ განაჩენებსა და მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძესა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელ ფადი ასლის შორის მიმდინარე კერძო-სამართლებრივ დავაზე საკასაციო ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

2019 წლის პირველ აგვისტოს N1/3888-18 საქმეზე მიღებულ განაჩენში თბილისის საქალაქო სასამართლო განმარტავს, რომ „*სასამართლოს მსჯელობის ერთ-ერთ სავანს წარმოადგენს, არის თუ არა ზვიად კუპრავას მიერ წარმოთქმული ფრაზა მოსამართლის უპატივცემულობა და შეიძლება თუ არა სასამართლოს სასაიდლო დარბაზი წარმოადგენდეს აღნიშნული დანაშაულის ჩადენის ადგილს*“.¹⁶⁰

160 ზვიად კუპრავას საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, გვ. 18

თბილისის საქალაქო სასამართლოში ზვიად კუპრაგას წინააღმდეგ მიმდინარეობდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლო ფაქტზე. სხდომის მიმდინარეობისას, მასალების შესწავლის მიზნით, მოსამართლემ გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება. ამ დროს ზვიად კუპრაგა ჩავიდა სასამართლოს შენობაში არსებულ სასადილოში. შესვენების პერიოდში, სასადილოში, მასთან გამოცხადნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და მიუთითეს დარბაზში დაბრუნებისაკენ, რის პასუხადაც კუპრაგამ განაცხადა, რომ დათქმულ დროს დაბრუნდებოდა. შსს-ს წარმომადგენლებმა კვლავ განაგრძეს მოთხოვნა და მიუთითეს მას, რომ მოსმართლე ელოდებოდა, რაზეც კუპრაგამ განაცხადა, რომ მოსამართლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება ჰქონდა (*„ყდებე მკვიდია მოსამართლე.“*). სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეფასდა, როგორც სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფაში.¹⁶¹

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თავად განაჩენში სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლე *„ღაშა თავართქილაცეს ზვიად კუპრაგას წინააღმდეგ არ შეუტანია საჩივარი სამართალდამცავ ორგანოებში და მან გამოძიებას პირველად 2018 წლის 22 ივნისს მისცა ჩვენება და ისიც ბრადების მხარის ინიციატივით; თავად დამარადებულის პოზიციით, ზვიად კუპრაგას სასამართლო სხდომაზე რომ მიეყენებინა მისთვის შეურაცხყოფა, მას ადმინისტრაციულად დასჯიდა“*.¹⁶² მოსამართლის, რომელიც კონკრეტული საქმის პირობებში ამოვდროულად დამარადებულს არის, ამგვარი შეფასება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით არის საინტერესო, კერძოდ: სასამართლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის არსებობაზე მსჯელობისას განმარტავს, რომ ამ ნორმის შემოტანა *„ნაკარნახევი იყო საქართველოში დემოკრატიის განვითარებითა და სასამართლო რეფორმის გატარების მიზნებით“* და რომ, დანაშაულის საშრობობა მდგომარეობს სასამართლოს ავტორიტეტის შეღახვაში და, იგი როგორც მორალური ზიანის მომტანია დამარადებულისათვის – უშაროდ მოსამართლისათვის, ასევე დაბდა სცემს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხს. ამასთანავე, სასამართლო აღნიშნავს, რომ დამარადებულის მიერ დამნაშავის ქცევის პირად შეფასებას დანაშაულის ობიექტური შემადგენლობისათვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

161 გამოხატვის თავისუფლება საქართველოში. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2019. გვ. 26.

162 ზვიად კუპრაგას საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, გვ.19.

ამგვარი მსჯელობა ტოვებს გარკვეულ წინააღმდეგობრიობის განცდას, ვინაიდან, ერთი მხრივ, სასამართლო აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია მოსამართლის ღირსებისა და პატივის დაცვა, რომელიც მის მიმართ გამოხატული შეურაცხყოფელი განცხადებით იღახება, თუმცა, მეორე მხრივ, განმარტავს, რომ დაზარალებულის პირად შეფასებას მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, იბადება კითხვა, როგორ უნდა დადგინდეს პირის პატივისა და ღირსების შეღახვა, თუკი მის პირად დამოკიდებულებას არ ექცევა ყურადღება.

სასამართლო იშვედიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ შეურაცხყოფელი გამოხატვის შეფასების სტანდარტს, კერძოდ, უთითებს საქმეზე, *„კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ“*, და განმარტავს, რომ *„შეურაცხყოფელი განცხადება შეიძლება ამოვარდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის სფეროდან, თუ იგი მიზნად მხოლოდ პირის ღირსების დამცირებას ისახავს.“* აღნიშნული სტანდარტი ვრცლად განვიხილეთ კვლევის წინა თავებში და იგი ასევე იყო ის გარემოებაც, რომ განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტის მიხედვით, შეურაცხყოფელი გამოხატვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, თუკი პირისპირ კომუნიკაციის დროს გამოვლინდება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს.

მეორე არანაკლებ გახმაურებული საქმე იყო მოსამართლე კაკაბაძის მიერ ფაღი ასლის წინააღმდეგ სამოქალაქო წესით დავის დაწყება, იმავე სასამართლოში, რომელშიც თავად ასრულებდა სამოსამართლო უფლებამოსილებას. მოსამართლის შეფასებით, ტერმინი *„კორუმპირებული“* და სხვა მრავალი ტერმინი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და შემდგომში საკასაციო ინსტანციამაც დაადასტურა, რომ მოპასუხეს არ ეკუთვნოდა, არამედ ჟურნალისტებს ეკუთვნოდათ, დახავდა მის პატივსა და ღირსებას, ასევე, საქმიან რეპუტაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით (რომელსაც უფრო ვრცლად შემდგომ თავებში განვიხილავთ), ჟურნალისტების მიერ ინტერვიუს ფორმით გადმოცემული განცხადებები, რომელთა შესახებაც მხარე ამტკიცებს, რომ თავად ამგვარი განცხადება არ გაუკეთებია, არ შეიძლება ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს.

ვლადიმერ კაკაბაძემ, ცილისწამების ფაქტის დადგენისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საქალაქო სარჩელი აღძრა თბილისის

საქადაქო სასამართლოში. აღსანიშნავია, რომ თავად კაკაბაძე სწორედ ამ სასამართლოში იყო დასაქმებული. საქმის განხილვის დაწყებამდე, თბილისის საქადაქო სასამართლომ ფადი ასლის განცხადებებს საჯაროდ უპასუხა. სასამართლოს მიმართვა ასე იწყებოდა: „*სასამართლო ხელისუფლება მკაცრად გმობს და დაუშვებლად მიიჩნევს მოსამართლის მიმართ გამოთქმულ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემდახველი ცნობების ვაგრცელებას*“.

ფაქტიურად, საქადაქო სასამართლოს განცხადებაში ინფორმაცია წინასწარ, წარმოდგენილი იყო როგორც დადასტურებული ფაქტები. მიუხედავად მიუკვერძოებლობის მინიმალური სტანდარტის არ არსებობისა, ვლადიმერ კაკაბაძის სარჩელი თბილისის საქადაქო სასამართლომ განიხილა, დააკმაყოფილა და ფადი ასლის მოსარჩელის სასარგებლოდ 3000 ლარის გადახდა დააკისრა. გადაწყვეტილება დადაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც.¹⁶³

მოსამართლის შეფასებით, ტერმინი „*კორუმპირებული*“ და სხვა მრავალი ტერმინი, რომელიც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და შემდგომში საკანაცო ინსტანციამაც დადასტურა, რომ მოპასუხეს არ ეკუთვნოდა, არამედ წარმოდგენდა ჟურნალისტების მიერ ვაკეთებულ განცხადებებს, დახავდა მის პატივსა და ღირსებას, ასევე საქმიან რეპუტაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით ჟურნალისტების მიერ ინტერვიუს ფორმით ვადმოცემული განცხადებები, რომელთა შესახებაც მხარე ამტკიცებს რომ მას ამგვარი განცხადება არ ვაუკეთებია, არ შეიძლება ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საფუძველი ვახედეს.

მოგადედ, ცილისმწამებლურ ვამოხატვასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოსათვის ამოსავად წერტილს წარმოდგენს იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებულმა ზომებმა არ იქონიონ „*მსუსხავი ეფექტი*“ საჯარო ინტერესის მატარებელი საკითხის ირგვლივ ვანვითარებულ დებატზე. სასამართლოს შეფასებით, „*მსუსხავი ეფექტი*“ გვაქვს, მაშინ როდესაც პირი მიმართავს

163 ვამოხატვის თავისუფლება საქართველოში. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), 2019. გვ. 21.

„თვით-ცენზურას“¹⁶⁴ არაპროპორციული სასჯელის¹⁶⁵ ან მის წინააღმდეგ მიმართულ ფართე შინაარსის მატარებელი კანონების საფუძველზე გამოძიების დაწყების შიშით.¹⁶⁶ „მსუსხავი ეფექტი“ ზიანის მომტანია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდებისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისათვის.¹⁶⁷ ვინაიდან, ასეთ დროს საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.

„მსუსხავი ეფექტის“ უარყოფითი გავლენის გათვალისწინებით, დოგიკურია, რომ სასამართლო მკაცრად აფასებს გამოყენებულ სანქციის პროპორციულობას. სასამართლოს შეფასებით „*დაწესებული სანქციის ბუნება და სიმკაცრე არის ის ფაქტორები, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონვენციის მე-10 მუხლით დაკული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას*“ (Cumpănă and Mazăre v. Romania, § 111).¹⁶⁸

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელზეც ყოველი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამახვილებს ევროპული სასამართლო ყურადღებას, არის შეფასებითი მსჯელობისა და ფაქტების მტკიცებას შორის მკაფიო გამიჯვნა.¹⁶⁹ Lingens-ის საქმიდან მოყოლებული, სასამართლო განმარტავს რომ „*ფრთხილი გამოიკვნა უნდა მოხდეს ფაქტებსა და შეფასებით მსჯელობას შორის. ფაქტის არსებობის დემონსტრირება შესაძლებელია, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია ... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, [სიმართლის დამტკიცების] მოთხოვნა შეუძლებელია შესრუდეს და ეს იმთავითვე დაარღვევს მოსაზრების თავისუფლებას*“.¹⁷⁰

164 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Vajnai v. Hungary, პარ. 54.

165 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Cumpănă and Mazăre v. Romania [GC], პარ. 114.

166 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Altuğ Taner Akçam v. Turkey, პარ. 68

167 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Cumpănă and Mazăre v. Romania [GC], პარ. 114.

168 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე Skalka v. Poland, პარ. 38.

169 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Schwabe v. Austria; De Haes and Gijssels v. Belgium, პარა. 47; და Prager and Oberschlick v. Austria, პარ. 3

170 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Lingens v. Austria, პარ. 46.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მკაფიო ზღვრის გავლება ყველა შემთხვევაში ერთნაირად იოლი არ არის და ევროპულ სასამართლოსაც მთელ რიგ გადაწყვეტილებებში სწორედ ამ სირთულეზე აქვს გამახვილებული ყურადღება.

Prager and Oberschlick-ის საქმეში, სასამართლომ დაადგინა რომ პრესა „სწორედაც რომ წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას, რომელითაც პოლიტიკოსები და საზოგადოება შესაძლოა დარწმუნდეს, რომ მოსამართლეები ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოქმე ვალდებულებებს იმ ფორმით, რომელიც შესაბამისობაშია იმ მიზანთან, რომელიც წარმოადგენს მათთვის მიწოდებული დავალების საფუძველს“.¹⁷¹

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცალკე, მე-4 თავი ეთმობა ცილისწამების საკითხს. აღნიშნული კანონის მე-13 და მე-14 მუხლები ერთმანეთსაგან განასხვავებს კერძო და საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევებს. განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან, როდესაც „პირს ეკისრება სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს შიანი მიაღვა“. მეორე შემთხვევაში კანონი დამატებით ადგენს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ ყოფილიყო ცნობილი ან მოპასუხეს გამოეჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცვერი განცხადების გავრცელება. ამგვარი მიდგომა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საჯარო მოხელეებს, რომელთა რიცხვსაც მოსამართლეებიც მიეკუთვნებიან, თმენის მაღალი ვალდებულება აკისრიათ.

მოსამართლე ვაკაბაძისა და ფადი ასდის შორის არსებული დავის ფარგლებში, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოპასუხის მიერ მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, შესაბამისად, შეფასების საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური მოსამართლის, არამედ, ზოგადად სასამართლოს ავტორიტეტის საკითხი. ამ მხრივ, მართალია,

171 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Prager and Oberschlick v. Austrai. პან. 34.

ქვემდგომმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს პრეცედენტულ სამართალზე, სადაც შეფასებულია მოსამართლის პირადი უფლებები და რეპუტაცია და სასამართლო სავტორიტეტი საზოგადოებაში (საქმეები: KINCSES V. HUNGARY; Meister v. Germany; W.R. v. Austria და სხვა), თუმცა, შეიძლება თუ არა გავრცელებული განცხადებით მოსამართლის და/ან სასამართლოს ავტორიტეტი, კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს პროპორციულობის ტესტის გამოყენებით მთლიანი განცხადების კონტექსტიდან გამომდინარე (განისაზღვროს უფლებით დაცული სფერო, მოხდა თუ არა ჩარევა უფლებაში, არსებობს თუ არა შემლუდვის საფუძველი, რომელიც პროპორციულია დეგტიმური მიზნის მიღწევისა). ერთ-ერთ საქმეზე (Marian Maciejewski v Poland №34447/05, 13 იანვარი, 2015), სადაც ფაქტობრივი გარემოებები შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლების წინააღმდეგ ჟურნალისტის კრიტიკულ სტატიას, სათაურით – *„ქურდები მართლმსაჯულების სისტემაში“*, სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ სახეზე იყო *„მაჯის მსგავსი მოსამართლე-პროკურორების ასოციაცია“*. ცილისწამებისთვის ჟურნალისტს შიდა კანონმდებლობით დაეკისრა ჯარიმა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი, ამ საქმეზე პოლონეთის სახელმწიფოს მიერ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა. გადაწყვეტილებაში მიეთითა, რომ ევროპული სასამართლო მკაცრი ტესტით შეამოწმებს გამოხატვის თავისუფლების შემლუდვას იმ შემთხვევებში, როცა სანქცია ხელს უშლის მედიას, გააშუქოს დებატები, რომლის მიმართაც არსებობს საჭარო ინტერესი. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მედია არის ერთ-ერთი შესაძლებლობა იმისთვის, რათა საზოგადოებამ გადაამოწმოს, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ მოსამართლეები კანონით მათთვის დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს უფლებამოსილებებს. მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზები არის საკითხი, რომლის მიმართაც მალაღია საზოგადოებრივი ინტერესი, შესაბამისად, დეგტიმურია, რომ ეს საკითხები ჟურნალისტებმა და სხვა პირებმა განიხილონ საჭარო დებატებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტატიის ავტორი ფრანგები მკაცრი და მწვავე ჩანდა, ამგვარი გამვიადებული ან თუნდაც მაპროვოცირებელი განცხადებები საჭარო დებატებში, კონვენციის მე-10 მუხლით დასაშვებია და დაცული იყო.¹⁷²

172 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე: Marian Maciejewski v. Poland. Para.79.

ამავე გადაწყვეტილებაში¹⁷³ სასამართლომ აღნიშნა, რომ „ვიდრე სადავო განცხადების შინაარსს შეამოწმებდეს, მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე: იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა და სასამართლო ხელისუფლება ფართო საზოგადოების ინტერესშია მოქცეული, სიტყვის თავისუფლების შემლუფვა მხოლოდ განსაკუთრებულ, სასამართლო ხელისუფლებაზე/მოსამართლეზე აშკარა და ნეგატიური თავდასხმის შემთხვევაში დაიშვება, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების როლის შესუსტებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფას და მხოლოდ ეს არის განცხადების გამაგრებების მიზანი. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დაამარაგოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ამრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ინტერესებსა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. პრევენტიული სამართლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ინსტიტუციას წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებისათვის, საზოგადოებრივ ინტერესში ექცევა. ამ მხრივ, აუცილებელია საზოგადოებაში სასამართლოს განსაკუთრებული როლის გათვალისწინება“.

მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების ის მონაკვეთიც, სადაც საკასაციო სასამართლო ერთმანეთისაგან მიჯნავს უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში გამოსაყენებელ სამართლებრივ ნორმებსა და სასამართლოს სხდომის დარბაზის მიღმა გავრცელებული განცხადებების შეფასების პროცესში გამოსაყენებელ საკანონმდებლო ჩანაწერებს კერძოდ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სასამართლოს ავტორიტეტის, ასევე, ინდივიდუალური მოსამართლის უფლებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული რეგულაციები, რათა გატარდეს პრევენციული ზომები საფრთხის თავიდან ასარიდებლად. როდესაც არასათანადოდ იქცევიან ან გარკვეული განცხადება სასამართლო სხდომის დარბაზში კეთდება, საპროცესო კანონმდებლობა (იხ. მაგალითად, სსსკ-ის 211-ე და 212-ე მუხლები) ადგენს წესრიგის დამრღვევის პასუხისმგებლობის წესსა და შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობას. სასამართლო სხდომის დარბაზის გარეთ

173 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის №სს-591-591-2018 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება (ვლადიმერ კაკაბაძე ფაფი ასლის წინააღმდეგ), პაწ. 1.4.6

გავრცელებული ინფორმაციის ნეგატიური შედეგების თავიდან ასარიდებლად კი, პირს, რომლის მიმართაც გავრცელდა ინფორმაცია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გააჩნია უფლება, საპასუხო ცნობები გამოაქვეყნოს იმავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რომელშიც გავრცელდა განცხადება.“

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმები, ის რეზონანსულობა, რომელიც ახლდა დავას, რომელშიც ფაქტი ასლი და მოსამართლე ვაკაბაძე როგორც მხარე და, შესაბამისად, დავის განმხილველი მოსამართლე მონაწილეობდნენ, ასევე მოიშველია ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და დაადგინა:

„განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განცხადებებში მოპასუხის სადავო ფრაზა არ არის საკმარისად კონკრეტული, მასში არ არის გადმოცემული ფაქტები, არამედ, გამოთქმათა მთლიანი კონტექსტის შესაბამისად, უფრო მეტად განცხადების გამავრცელებლის აზრს, მოვლენის მიმართ მის პირად დამოკიდებულებასა და კომენტარს წარმოადგენს, რაც ამ გამონათქვამის აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს, შესაბამისად, პალატა აღარ მსჯელობს მოსარჩელის მე-8 მუხლით დასყუდი უფლების დარღვევის საკითხზე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე კი, იმგვარი დებატი, რომლის ერთადერთი მიზანი სასამართლოს/მოსამართლის დისკრედიტაცია არ არის, მიუხედავად გამოთქმის მკვეთრად უარყოფითი და არასასურველი კონტექსტისა, არ შეიძლება უპირობოდ დაექვემდებაროს შეზღუდვას.“

საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ განაჩენებში ამოკითხული განმარტებების საფუძველზე, შეგვიძლია სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოვყოთ, კერძოდ:

- ა. კონკრეტული ქმედების კრიმინალიზების მთავარი მიზანი სამართალწარმოების პროცესის ჯეროვნად, ეფექტიანად და შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფაა. იმისაგან დამოუკიდებლად, თუ ვის მიმართ არის განხორციელებული დასჯადი ქმედება, ყველა შემთხვევაში სახეზეა პროცესის გამართლად წარმართვაში ხელის შეშლის ფაქტი. სასამართლოს შეფასებით კი, ამგვარი ფაქტის არსებობა ბიანს აყენებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს;

ბ. ნორმის ჩანაწერის მიხედვით, უპატივცემულობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა შეურაცხყოფა, რაც, თავის მხრივ, იძლევა დოვიკური დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ უპატივცემულობა შეურაცხყოფასთან ერთად, გამოხატვის სხვა ფორმებსაც მოიცავს. თუმცა, ნორმა პირობულ-მური იმდენად, რამდენადაც არ იძლევა მკაფიო განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ სად გადის მღვარი უპატივცემულობაში მოაზრებულ სხვა, არადასაჯად გამოხატვასა და შეურაცხყოფას შორის. ნორმის ფორმულირება და მის ირგვლივ საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული ზედაპირული პრაქტიკა არ იძლევა საკმარისად ცხად განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ქმედების განხორციელებისაგან უნდა შეიკავოს თავი პირმა.

ჩინამდებარე კვლევის შედეგების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ იურისდიქციების მიხედვით, განსხვავებულია სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა. თუმცა, ცალსახაა, რომ ყველა შემოსენებულ შემთხვევაში, სასამართლოს ავტორიტეტი/დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ლეგიტიმური მიზანია. დავას არც ის გარემოება იწვევს, რომ საზოგადოებას და, განსაკუთრებით, მხარეებს, მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიმართ, მომეტებული ინტერესი გააჩნიათ. ღია და დემოკრატიული მმართველობის სამომხმარებლო სწორედ პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხარისხი და ამ საზოგადოების შესაძლებლობაა – თავისუფლად ისაუბროს პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე. შესაბამისად, ჩნდება გადაუდებელი აუცილებლობა, დაცული იქნას სამართლიანი ბაღანსი გამომხატვის თავისუფლებასა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის.

ინდივიდუალური მოსამართლეები და, ზოგადად, სასამართლო სისტემა განსაკუთრებულ როლს ასრულებს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თავად იგი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის ერთ-ერთი უპირველესი გარანტია. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება სასამართლო ხელისუფლების მიმართ სათანადო ნდობას განიცდიდეს. ნდობის მოპოვება კი, უპირველეს ყოვლისა სამართლებრივად გამართული გადაწყვეტილებების მიღებით არის შესაძლებელი, რაც თავისთავად ამცირებს სასამართლოს მიმართ კრიტიკულად განწყობილი მასის რაოდენობას და ამავე დროს, ხელს უწყობს სისტემის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შესუსტებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, მოსამართლეები დაცულნი იყვნენ როგორც გარე ინსტიტუციონალური ჩარევებისაგან, ასევე თავად სისტემის შიგნით არსებული საფრთხეებისაგან და ხელი არ ეშეშებოდეთ მართლმსაჯულების პროცესის განხორციელებაში. იმ ხანგრძლივ პროცესში, რასაც სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ჩამოყალიბება ეწოდება, ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება, ისე ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოს მხრიდან სათანადო პატივისცემის გამოჩენა და თავად მოსამართლეების მხრიდან თავიანთი უფლებამოსილებისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული როლის გააზრება.

აღნიშნულის საპირისპიროდ, გამობატვის თავისუფლების გამკაცრება და არაპროპორციული სასჯელის შემოტანა ისეთი ქმედებისათვის, რომლის განჭვრეტადობაც და შინაარსობრივი ხარისხიც, შესაძლოა, განხიდვის საგანი გახდეს, არა მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებს კონკრეტულად გამობატვის თავისუფლებით სარგებლობაზე, არამედ ნეგატიურ გავლენას იქონიებს თავად სასამართლო ხელისუფლების განვითარებაზეც. ვინაიდან, მხოლოდ ღია და დასაბუთებული დებატი იძლევა საშუალებას, ინდივიდებმა თავისუფლად გაცვადონ ერთმანეთში მათთვის სასურველი იდეები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები (თუ არ ჩავთვლით სისხლის სამართლის 366-ე მუხლს) და როგორც ფოკუს-ჯგუფში მონაწილე რესპონდენტების პასუხებიდან გამოიკვეთა, თავად იურიდიული სფეროს წარმომადგენლები, ქმნიან იმ აუცილებელ საფუძველს, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს ავტორიტეტის მრდას საზოგადოებაში გამობატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის გარეშე.

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს:

- › გადაიხედოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებისათვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა.

საერთო სასამართლოებს:

- › მხოლოდ უკანასკნელ, ყველაზე რადიკალურ შემთხვევებში მიმართონ სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის გამოყენებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას. ამგვარი შემთხვევები, შესაძლოა, დადგეს სასამართლო სხდომის დარბაზში ინვენტარის დამიანებისას, განმეორებადი ხასიათის მქონე შურაცხმყოფისას პირის მხრიდან;
- › გამოხატვის თავისუფლების, თუნდაც შურაცხმყოფელი ფორმების, შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისას იხედმძღვანელონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტით;
- › სასამართლოს/მოსამართლეების მისამართით გაჟღერებულ თუნდაც მწვავე განცხადებებს უპასუხონ უფრო მეტად დასაბუთებული, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებული კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისი გადაწყვეტილებებით. უკიდურეს შემთხვევაში, საპასუხო განცხადებების გაკეთებისას აირჩიონ განცხადების ერთიანი ფორმა, რომელსაც გაავრცელებს კონკრეტულად ის სასამართლო, რომლის მოსამართლის/მთლიანად სასამართლოს მისამართითაც ვაკეთდა განცხადება.

